ვაჟა-ფშაველა

156 ამბავი

შემდგენელი ლევან ბებურიშვილი



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

თან საკითხავი

24

სერიის მთავარი რედაქტორი
ბუბა კუდავა

რედაქტორი
ნატო გორდელაძე

დამკაბადონებელი
ვიოლა ტუღუში

გარეკანის დიზაინერი
ილია ხელაია

წიგნში გამოყენებული ფოტოები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ISSN 2587-4993
ISBN 978-9941-478-30-7

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2018

მოგეხსენებათ, როგორ უჭირთ ადამიანებს დღეს კითხვა.

დაძაბული გრაფიკი, ცხოვრების ჩქარი რიტმი, ცოტა დრო, ბევრი საფიქრალი, ინფორმაციის მიღების მრავალი სხვა საშუალება...

არადა, ბევრს უყვარს კითხვა და ბევრს აქვს მოთხოვნილება იკითხოს.

გამომცემლობა „არტანუჯის" ახალი სერია — **თან საკითხავი** ერთგვარი გამოსავალია ამ საყოველთაო უდროობის დროს.

დიახ, თან-საკითხავი.

საკითხავი „სხვათა შორის", საკითხავი თანდათანობით, სვენება-სვენებით თუ ერთი ამოსუნთქვით. საკითხავი კეთების პარალელურად. ადვილი და საინტერესო საკითხავი. საკითხავი დასვენებისას, მგზავრობისას, თუნდაც მუშაობა-

მუშაობისას. საკითხავი ავტობუსში, მანქანაში, თვითმფრინავში, მატარებელში...

საკითხავი ჰამაკში, პლაჟზე, ჯდომისას თუ წოლისას, საკითხავი ისე, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ვითარებაში. საკითხავი მათთვის, ვისაც მოსწონს წიგნებისთვის „თვალის გადავლება“, ვისაც უყვარს კითხვა აქა-იქ თვალის ჩაკვრით და ვისაც არ იზიდავს ვრცელი და გაბმული ტექსტები.

თითოეულ გამოცემაში ერთი საინტერესო თემისა თუ პიროვნების შესახებ შეკრებილი, გასაგები და უშუალო ენით დაწერილი, მცირე მოცულობის ძალზე საინტერესო „ამბები“ მოიყრის თავს. ეს ნაწილები არ იქნება ერთმანეთზე გადაბმული და დამოკიდებული.

ასე, ნაკვეს-ნაკვეს კითხვა ხომ წიგნის ნებისმიერი ნაწილიდან შეგვიძლია დავიწყოთ და ნებისმიერ დროს შევწყვიტოთ, ნებისმიერ დროს განვაახლოთ და შემდეგ ნელ-ნელა ჩავამთავროთ. ან არც ჩავამთავროთ... ☺

ესეც სერიის ოცდამეოთხე წიგნი!..

ბუბა კუდავა

1.

თუ ბიოგრაფია იწერება, უნდა დაიწეროს სიმართლით, ნამეტნავად სიყალბე უნდა გასნორდეს ჩემს სიცოცხლეშივე, რადგან იგი ჩემი სიკვდილის შემდეგაც იბარტყებს საკმაოდ.

მე დავიბადე სოფელ ჩარგალში 1862 წლის 15 იანვარს.

2.

დედაჩემი იყო ივრელი ქალი, სოფელ სხლოვნიდან, ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლეობენ დღესაც მისი ნათესავნი, სათემო გვარი ფხიკლეშვილებისა არის გაბიდოური. ღვიძლი ბიძა დედაჩემისა პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშაველში. იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს“...

წერა-კითხვა არც დედაჩემმა იცოდა, თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი იყო, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე; დედიჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი. ისე ჩავიდა საფლავში, რომ ერთს არავის ახსოვს, იმას გაეჯავრებინოს, არა. გაჯავრებულს, მლანძღველს, რაც აქაურ დედაკაცებში ხშირი მოვლენაა, სიცილით მიეგებებოდა და სამაგიეროს გადაუხდელობით შეარცხვენდა, მოარბილებდა.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი წუთისოფელი“


3.

დედაჩემის მიერ ნაამბობიდან ღრმად ჩამებეჭდა გულში მის მიერ ნანახი იაკობისებური ცხადმოჩვენება, რომელსაც შემდეგ, როცა მოვიზარდენით და მეცნიერებას ცოტაოდენად ვუსუნეთ, აღარც კი ვუჯერებდით, თუმცა დედა მაინც ჩვენს თავს ფიცულობდა დასარწმუნებლად:

„ჯერ ისევ ქალი ვიყავ, გასათხოვარი, – ამბობდა დედაჩემი, – მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს სხლოვანს (სოფელია) გარეთ დერიფანში გვეძინა. შუაღამე იქნებოდა, დგანდგარი, ბრდგნიალი დადგა ისეთი, მეგონა მთა-ბარი თუ იქცევაო. შეშინებული წამოვჯე ლოგინში, გავხედე და მთელი ცა განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული, ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვანის გორითა, გადამბულები, ზედ ცეცხლის ბალღები ადიოდენ და ჩამოდიოდენ და ისეთ მწკეპრ (წმინდა) ხმაზე გალობდენ, ისე ტკბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო“...

ამ მოჩვენებასაც, რა თქმა უნდა, თავისი ძალა ჰქონდა და მაფიქრებინებდა, რომ ჩვენი დედ-მამის და მის შვილების სვე-ბედში განგება მონაწილეობას იღებდა.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი წუთისოფელი“



4.

ერთმა შემთხვევამ დედაჩემი სიბრალულისა და ქველობის გამო ერთხანად დაცინვის საგნადაც გახადა მეზობლების თვალში და მამაჩემისაგანაც დიდი სამდურავი მიიღო. რაც ჩვეულებრივი არ არის ფშავში, საიდანღაც მოსულიყვნენ ბოშები; დაენახა-რა დედაჩემს ეს შიშველ-ტიტველი ხალხი, ნახევრად ტიტლიკანა ბოშის ბალღები, დაეწყო ტირილი. ამის მეტად არ ენახა და არც გაეგონა. „ღმერთო, ეს რა საცოდაობა მოვიხილეო", – თურმე გაიძახოდა. გამოიტანა თურმე თავის ახალი კაბები და, რადგანაც ყველას მთელი არ შეხვდებოდა, თურმე ჰხევდა და ამ ნახევებს ურიგებდა: „აი, ეს დაიკერე, ჩაიცვი, შე ბეჩავო!.." ამ ამბავში რომ იყო დედაჩემი და ქველობას ეწეოდა, რამდენიმე ბოშა შეიპარა სახლში, გააღეს სკივრი და ოთხასი მანეთი ფული მოეპარათ... ეს მხოლოდ მაშინ გაეგოთ, როცა ბოშები სამშვიდობოს გავიდნენ...

შინ დაბრუნებულს მამაჩემს გაეგო მათი ვინაობა და, როგორც ცხოვრებაში გასულს კაცს, ეცოდინებოდა მათი ზნე-ხასიათი, გაესინჯა სკივრი და, რა დაგიკარგავ, რას ეძებ! ეს ამბავი მამაჩემმა მოიტანა თელავში, სადაც მე და ჩემი უფროსი ძმა ვსწავლობდით სასულიერო სასწავლებელში.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი წუთისოფელი"

5.

მამაჩემი... ეს პატარა ტანის კაცი, განხორციელებული მხნეობა, ენერგია იყო, ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი. გარდა სასულიეროსი, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შაეძინა, არ წაეკითხა. დღე და ღამეს, რომ იტყვიან, ასწორებდა, არ იცოდა ძილი რა იყო, და საშინლად ეჯავრებოდა, ჩვენ, სკოლიდან შინ დაბრუნებულნი, დილის ძილს რომ გავიპტყელებდით.

„ადეგით, ბიჭო, პური მაინც არ მოგშივდათ?“ – დაგვძახებდა საქმიდან დაბრუნებული, პიროფლიანი. „დაანებე თავი, შენთ მკვდართ ცხონებასა, კაცო, ეძინოს მა ბალღებსა!“ – შეჰნიშნავდა დედაჩემი და მოუვიდოდათ ამაზე ჩხუბი. ეჩხუბებოდა მამაჩემი, თორემ დედის ჩხუბი რა სათქმელია, იტყოდა რა ამას, სულს გაჰნაბავდა და მოწიწებით ყურს უგდებდა ქმრის ათასნაირს შენიშვნას და საყვედურს.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ნუთისოფელი“

6.

მამაჩემს სკოლა თვალით არ ენახა, „ან-ბანი“ მწყემსობაში შაესწავლა ჩუმად, ქურდულად, რადგან დედ-მამა უშლიდა თურმე სწავლას. მამა თოფით დასდევდა მოსაკლავად, სწავლა ეშმაკეული საქმეაო. მაგრამ მამაჩემი თურმე თავისას არ იშლიდა, განაგრძობდა სწავლას, სწერდა სიპ ქვებზე, რაიც ფშავის ხევში მრავალია. ქაღალდს ვინ აღირსებდა ან კი?

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი წუთისოფელი“

7.

მე როცა მამაჩემი ვიცანი მამად, მაშინ იგი მთავარ-დიაკვნად იყო სოფ. მაღაროსკარში, ს. ჩარგალზე რვა ვერსზე დაშორებით. როცა-კი შინ იმყოფებო-და, მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი სამღთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველე-ბურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ხინკლისათვის საკეფლად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დაუჯდე-ბოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტკბილს საუბარს, რადგან ძველი აღთქმისა ზოგ-ზოგი მოთხრობა მეტისმეტად მომწონდა, ჩემს ყურადღებას იზიდავდა: დავითისაგან გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერის მოქმედებანი, ძმათა მაკაბელთა თავდადება და სხვა...

რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე. ვეფხის-ტყაოსანი, მზე-ჭაბუკისა და ჯიმშედის ამბავი (ჩუ-ბინაშვილის ქრისტომატია), გრიბული ჟორჟ-ზან-დისა შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებად... საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყვანდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედობას.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი წუთისოფელი“

8.

პაპაჩემზე ამბობდნენ, კარგა მაუდიოდა ცხოვრებაო, არც ერთი შვილის სიკვდილს არ შეესწვრაო, იმის სახლში სუ ქორწილი და ლხინი იყოო, იმათ ჯაჭვზეით სახინკლე ქვაბი არ ჩამაიხდებოდაო.

გულქან რაზიკაშვილი

9.

რვა წლისა თელავში სასულიერო სასწავლებელში
მიმაბარეს. სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა
და გონებას ვერაფერი შეჰმატა, ჩემს ფანტაზიას,
გონების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ლა-
თინური და ბერძნული ფრაზების ზეპირობა. უვარ-
გისი სისტემა სწავლისა ვერ აკმაყოფილებდა ჩემს
ცნობისმოყვარეობას, ვერ აწვდიდა ნოყიერ საზრ-
დოს, იძულებული ვიყავ მიმემართნა სხვადასხვა
წიგნებისათვის, რაც ძნელი საშოვარი აღმოჩნდა.
ვკითხულობდი რაც შემხვდებოდა, განურჩევლად.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი წუთისოფელი“

10.

მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი და სულთამხუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდნენ თავზე... ნიადაგ უნდა მესიამოვნა. ჯერ ერთი გადავრჩი ბერძნულის მასწავლებელს, ამ დაობებულს, დახავსებულს ბურსაკს: ჯერ ქართული ანაბანა არ ვიცოდით და ის კი მოგვიყვა ბერძნულს ენას. ნეტავი თვითონ მაინც სცოდნოდა თავის საგანი, ისიც მაშინ სწავლობდა...

ღმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გაჯავრდებოდა: თვალები დაესისხლებოდა, მოავლებდა შეგირდს თმაში ხელს და გაისვრიდა, საითაც მოხვდებოდა.

...მე ბუხარში ვიჯექი და იქიდან ვუცქეროდი ამ საშინელებას. დიაღ, ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შეგირდისათვის, და ერთთავად ნაცარში ამოგანგლული დავდიოდი.

ვაჟა-ფშაველა, მოგონება (საშობაო მოთხრობა)

11.

კრივი კარგი ვიცოდი, ვინაიდან მუდამ შაბათ-კვირაობით, უქმეებში კრივი იმართებოდა და ყველასთვის ფართო ასპარეზი იყო გადაშლილი... კრივში ჩემს საუკეთესო ამხანაგად ითვლებოდა ჩვენებური მღვდლის შვილი, შაქრო მაღალაშვილი... სახლის პატრონთანაც ერთად ვიდეგით და კრივშიაც ერთად ვმოღვაწეობდით. ჩვენი სახლის პატრონი, კირილე კოლოტაძე, მედავითნე, ძველებური კაცი, რომელმაც ჩემს გვარს არ დამაჯერა, რაზა გადააკეთა, ხოლო მაღალაშვილის გვარიდან კოჭაკი გამოიყვანა, როცა კრივიდან დაბეგვილ-დაქანცულს მომიხდებოდა შინ დაბრუნება, მომმართავდა თავის დანჯღრეული რუსულით: „ტი, რაზიკოვ ზდეს, ა კოჭაკოვ (მაღალოვი) ღდე?“

უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკოვად ვიწერებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფადაც-კი მიმეღო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოება „ოვი“-თ.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ნუთისოფელი“

12.

როგორც უმცროსს, ხშირად დავსაქმებდით ხოლმე ლუკას, უფრო ვგზავნიდით სადმე. ხოლო, რადგანაც ღონიერის სახელი გაითქვა და სულ მკლავზე იყურებოდა, ზოგჯერ არ გვეპუებოდა და უარს გვეუბნებოდა, რის გამოც ჩვენ „კერპი" დავარქვით, სიკერპესთან უშიშროებაც სჭირდა, რაც შემდეგიდან ჩანს:

ერთ ღამეს დიდი ჭექა-ქუხილი ატყდა. იქნებოდა თერთმეტი საათი ღამისა. ჩვენ სამივენი ვიწექით ქვეშაგებში და ვკითხულობდით, ვისაც რა გვსურდა. უცბად იელვა და თან საშინელი ჭექაც მოჰყვა. სახლი, რომელიც ორსართულიანი იყო და ძირა სართულში ჩვენ ვიწექით, ისე შეინძრა, რომ თითქოს თავზედ უნდა დაგვნგრეოდა. ოთახში ფანჯრის მინები ჩაიმტვრა, სანთელი დაგვიქრა და შემოვარდა საზარელი სუნი. მეც და გიორგიც წამოვცვივდით ქვეშაგებიდან და ვეცით კარებს, ხოლო ლუკა არც კი განძრეულა, არხეინად, თითქოს არაფერი მომხდარაო, იწვა თავის ქვეშაგებში, რამდენიმე წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენს სახლს დასცემოდა მეხი, რომელიც ჩამოვარდნილიყო ბუხარსა და იმ საწოლს შუა, სადაც ლუკა იწვა, და მთელი კედელი შუაზე გარღვეულიყო.

მელანია (ნიკოლოზ ნათიძე)

13.

ბავშვობისას ვაჟას ერთ ხნიერ მეცხვარესთან უმგზავრია ცხენით.

დაღამებიათ გზაზე და დაუნთიათ ცეცხლი ველად. მეცხვარეს უამბნია ვაჟასთვის თავის წარსული და, სხვათა შორის, უთქვამს: – ჩვენ, წინანდელი ხალხი, თქვენსავით ბეჩავები კი არ ვყოფილვართ, ისეთი ყოჩაღები ვიყავით, რომ სულ ცეცხლს ვაკვესებდითო. ამ ლაპარაკში ნაბადმოხვეულებს ჩასძინებიათ ცეცხლის პირას.

ძილის დროს მეცხვარე გადმოგორებულა ცეცხლისკენ და ტანისამოსი დასწვია. ვაჟასაც სძინებია ამ დროს. პატარა ლუკასთვის ფშაველს ჩხუბი აუტეხნია: – რატომ არ გამაღვიძე, როცა ცეცხლი მეკიდებოდაო? ლუკას მოსწრებულად უპასუხნია: – მე მეგონა, ცეცხლს თუ აკვესებდიო.



ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

14.

ერთხელ ვაჟას თავისი ცოლისთვის უთქვამს: – ბავშვობაში სულ ერთთავად ხეებზე სიარული ძალიან მიყვარდა, სულ ერთთავად ხეებზე ვიჯექი. დედაჩემს ეშინოდა, ხიდან არ ჩამოვვარდნილიყავი და დამაშინა: „შენ თუ ხეებზე სიარულს არ მოიშლი, აგერ იმ ახუნის გორზე, სულ ზევით რომ მაღალი წიფელი დგას, წავალ, იმ წიფელზე შავხდები, სულ წვერში მოვექცევი, იქიდან ჩამოვვარდები, დავეცემი და მოვკვდებიო...“ დედის სიტყვამ ისეთი გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ ის დღეა და ის დღე, მე ხეზე აღარ ავსულვარ. როცა ხესთან მივალ, მაშინვე დედაჩემის სიტყვები მომაგონდება და მუხლი ამიკანკალდებაო.

სოლომონ ყუბანეიშვილი

15.

სიყრმის დროს ერთი ზნე მჭირდა, – თუ ვისმე რაიმე უნარს ქვეყანა ღირსებად უთვლიდა, უეჭველად ამ ღირსების წარმომადგენელი მე უნდა ვყოფილიყავი: აქებდენ კარგ მოკრივეებს – მეც ვკრიობდი, რომ კარგი მოკრივის სახელი მომეხვეჭა. აქებდენ კარგ მოჭიდავეს, – მეც ვჭიდაობდი, რათა ფალავნის სახელი გამეთქვა. სახელის მოხვეჭაზე სიარულმა საცინელ მდგომარეობაში ამომაყოფინა თავი.

იყო ვინმე მთავარი* თელავში, რომელიც სობოროში ემსახურებოდა. სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი მუდამ იქ დავდიოდით წირვა-ლოცვაზე. ეს მთავარი დიდი ხმის პატრონი იყო, ყველა ხმას უქებდა: „რა ხმა აქვს ვანო მთავარს, რა ხმა, ძალიან ბასი აქვსო!“ ოჰ, ეს ჩამწვდა გულში: როგორ თუ ვანო მთავარს ბასი აქვს და მეც კი არ უნდა მქონდეს-მეთქი. ვიჭიფხებოდი, ვყვიროდი თავისთვის, ვიბერებოდი, ვატანდი ხმას ძალას, რომ გამებოხებინა, და იქამდე დავტანჯე თავისი თავი, გულმა ტკივილი დამიწყო.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი წუთისოფელი“

---

* მთავარდიაკონი.

16.

გამიგონია, ბიძაჩემი ვაჟა-ფშაველა ჯეილობისას კარგი მოკრიეე ყოფილა. ისეთი ღონე ჰქონებია, რომ მუშტით გოჯიან ფიცარს ამტვრევდა თურმე.

თიანეთიდან მომავალი ვაჟა და მისი ორი ამხანაგი იორში უნდა გასულიყვნენ. იორი ადიდებული და საშიში გასასვლელი ყოფილა, ამიტომ ვაჟას ამხანაგებს ვერ შეუბედიათ შიგ შესვლა. ვაჟას გაუხდია ტანისამოსი, კისერზე დაუხვევია და ამხანაგებისთვის უთქვამს: – მე ხელებს გავშლი, თქვენ ერთი ერთს და მეორე მეორე მკლავზე გადამაწექით, ისე შევალ წყალში, მძიმედ ვიქნები და წყალი ველარ დამძრავსო. ასეც მოქცეულან. იორს, რომელსაც, თურმე, მთელი ხეები და ქვები მოჰქონდა, მგზავრები იოლად გადაურჩნენ.

ვანო რაზიკაშვილი

17.

ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა და მას ბლომად ჰქონდა თავისი ლექსები. ვინ არ იცნობდა ანტონ ფურცელაძეს, ვის არ გაეგო მისი სახელი... ვისთვისღა არ იყო მისი კარი ღია... მე და ლუკა რაზიკაშვილიც მივედით ანტონთან... ლუკამ წამოიღო თავისი რვეული, რო-

მელშიაც იყო, როგორც მახსოვს, თხუთმეტი ლექსი. ამ რვეულს ზევიდან ჰქონდა შემდეგი წარწერა: „ლექსები შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისა".

შევედით ანტონთან, ღიმილით მიგვიღო, გამოგვკითხა ვინაობა, მიზეზი ჩვენი მისვლისა და ლუკამ მიაწოდა თავისი რვეული... ანტონმა გვაჩუქა რამდენიმე ქართული წიგნი და გვითხრა, მივსულიყავით მეორე დღეს...

მეორე დღეს დანიშნულ დროზე მივედით; ანტონმა თავზე ხელი დაადო და უთხრა ლუკას: „აბა, შემომხედე, შენ კაი ვაჟი ყოფილხარო"... დაუბრუნა ლუკას რვეული და ზევიდან წარწერაზე წაეშალა სიტყვა „შეთხზული" და გაეშო მარტო „ლექსები ლუკა რაზიკაშვილისა". თანაც უთხრა: ეს წარწერაც კმარაო და როცა გახდები ისეთი პოეტი, აი, როგორც ილია ჭავჭავაძეა, მერე დააწერე შენს ლექსებს „შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისაო".

ეს, ცოტა არ იყოს, არ ეამა ჩემს ლუკას და როცა კარში გამოვედით, მეც რაღაც ღმერთი გამიწყრა, დაცინვით ვუთხარი: აბა, მართლაც ეგრე რო გააპრტყელე წარწერა, რომელი გამოჩენილი პოეტი ბრძანდები-მეთქი; ამაზე პასუხად ამხანაგურად წამიქიმუნჯა*.

ს. ანდრიევი

---

* მუშტი მკრა.

18.

ლუკა რაზიკაშვილს (ვაჟა-ფშაველას) ნაკლებად იცნობდნენ სემინარიელები, იგი წინდახედულად და გაფრთხილებით მუშაობდა ჩვენთან [ხალხოსნურ წრეებთან]. ამიტომ ამხანაგები მასზე ამბობდნენ: „აი, ადამიანი, რომელიც დადის მარტორქად“.

როდესაც ბურსაკები საყვედურს ეუბნებოდნენ ლუკას – რატომ არ დადიხარ კრებებზეო, მისი პასუხი იყო: მე ვტრიალებ ჩემი ღერძის ირგვლივო.

ალ. სალარიძე

19.

ერთხანად ბერად შედგომაზედაც კი ვოცნებობდი, მაგრამ შინაურებმა მასხარად ამიგდეს და ამ ოცნებაზე ხელი ამაღებინეს ჩემდა უნებურადა.

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ნუთისოფელი“

20.

1882 წლის 1 ივლისიდან, ვაჟა დანიშნეს ტოლათ-სოფელში (ერწოში) სკოლის მასწავლებლად... ვაჟას ძლიერ უყვარდა უბრალო ხალხში ტრიალი... თუ გლეხის ჩაგვრას ვისმე შეამჩნევდა, ის მაშინვე ეხმარებოდა გლეხს და არავის დააჩაგვრინებდა. ვაჟას კონფლიქტი თავის სკოლის გამგესთანაც მოსდიოდა. სკოლის გამგედ მღვდელი აღნიაშვილი იყო.

მღვდლის სახლი და სკოლა ერთ ფარგალში იყო, მათ შუაზე მხოლოდ ღობე ჰყოფდა. სკოლის გამგემ თავისი ეზოს არეს გაფართოება განიზრახა, ამიტომ სკოლის ეზოს ნაწილის შემოერთება მოინდომა და ამ მიზნით ღობეს სკოლისაკენ სწევდა, მაგრამ ვაჟამ სკოლის ბოსტნის შევიწროების ნება არ მისცა. დაუძრო ღობის მარგილები და გადაუყარა. მღვდელი შეედავა, ვაჟამ ბევრი არ უთმინა, სტაცა ხელი, მოიქნია და ძირს დასცა.

სოლომონ ყუბანეიშვილის მიხედვით

21.

მართალია, ვაჟა სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ ის ამას არ შეუშინდა, ის ჩამოვიდა თბილისში იმ იმედით, რომ ქართველი საზოგადოება დაეხმარებოდა და მოახერხებდა რუსეთში წასვლას სწავლის გასაგრძელებლად, რადგან ის სწავლა, რაც იმისა ჰქონდა მიღებული, არ აკმაყოფილებდა. ჩვენი საზოგადო მოღვაწეებიც დაჰპირდნენ, მაგრამ იმდენი არა მისცეს-რა. იმ დროს ვაჟა სხვა ფშაველებთან ერთად ავჭალის ქუჩაზე, კულა გლდანელის ბაკში იყო ჩამომხდარი...

იქ ვაჟა ფშავლებთანა ქეიფობს, რომლებთანაც თვითონ კულაცა ზის. ვაჟას, სხვათა შორის, ჩამოეგდო ლაპარაკი იმაზე, რომ სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში უნდა წასვლა, მაგრამ საკმაო ფულის უქონლობის გამო ვერ მომიხერხებიაო. მაშინვე წამომხტარიყო კულა და ვაჟასთვის ეთქვა: „მოგიკვდეს კულა, თუ არ დაგეხმაროო“. მართლაც კულამ შეასრულა თავისი ნათქვამი: ის ამისათვის ავიდა თიანეთში, გამართა ჭიდაობა და იქიდან შემოსული ფული სულ ვაჟასთვის გადაეცა.

სანდრო რაზიკაშვილი



22.

ერთხელ, პეტერბურგში სწავლის დროს, ვაჟასა და გიორგის ფული სულ გამოლეოდათ და მშივრები სეირნობდნენ. ამ დროს ერთი ნაცნობი გერმანელი სტუდენტი შეხვედრიათ, რომელსაც შეუთავაზებია – ბილიარდი ვითამაშოთ და წაგებულმა სადილის

ფული გადაიხადოსო. ვაჟას ძალიან გახარებია, რადგან ბილიარდს კარგად თამაშობდა და მოგების იმედი ჰქონდა.

თამაში ვაჟასა და გიორგის სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ გერმანელმა რაღაც მოიმიზეზა, გავიდა გარეთ და გაიპარა. ბილიარდის პატრონმა ვაჟას და გიორგის ფული მოსთხოვა. ძმები ამაოდ ცდილობდნენ აეხსნათ მისთვის გერმანელ სტუდენტთან მოლაპარაკების პირობა. დაწესებულების მფლობელმა ხელქვეითები მოიხმო და ძალით სცადა გირაოში ქუდი წაერთმია გიორგისთვის. ვაჟასა და გიორგის, ცხადია, ამის უფლება არ მიუციათ. გამართულა ხელჩართული ჩხუბი, რომელშიც ქართველ ძმებს 20-25 კაცი უცემიათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგი ერთ ევროპულად ჩაცმულ ახალგაზრდას გაუჩერებია ნევის პროსპექტზე და უკითხავს, ამა და ამ დროს თქვენ იჩხუბეთ ლუდხანაშიო? გიორგისაგან დასტურის მიღების შემდეგ უცნობს უთქვამს: – მე ბოქსიორი ვარ, მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი, ჩემს გარტყმას ძნელად თუ უძლებდა ვინმე, მაგრამ თქვენი მუშტი უფრო მწარე ყოფილა. ისეთი შემომკრა ფერდში თქვენმა ძმამ, რომ მოცელილი ბალახივით დავეცი იატაკზე. შინ რომ მივედი, ფერდი დალურჯებული მქონდა და სამი დღე და ღამე კომპრესი მედოო.

ივანე ბუქურაულის მოგონების მიხედვით

23.

ვაჟა-ფშაველა რუსეთიდან რომ დაბრუნდა, ჯერ რამდენიმე ხანს შინ იყო, შემდეგ კი ის ქართლში, სოფელ ოთარაშენში, ამილახვრიანთ შინა-მასწავლებლად მიიწვიეს, სადაც დიდ ფეოდალს გიორგი ამილახვარს ასწავლიდა. „გიორგი ამილახვარი მეტის მეტი კერპი იყოო, – იტყოდა ხოლმე ვაჟა, – ერთხელ ისე გამაჯავრა, რომ გაბრაზებულმა სილა გავცხეო და რომ ველარაფერს გახდა, ეცა იქვე კედელზე ჩამოკიდებულ თოფს და უნდა ჩემთვის ესროლაო, თანაც იმუქრებოდა და ამბობდა: „ჰაი, დროებას რა უთხრა, რო ვიღაცა ფშაველი ამილახვარსა სცემსო".

სანდრო რაზიკაშვილი

24.

ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდით, მაგრამ, რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად გაუბედავი, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ვგონებ, ვინც მიყვარდა, იმანაც არ იცოდა; მე კი თუ მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი, რის გამოც, როცა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავ იქ, საცა ჩემი „სატრფო" მეგულებოდა... მალე იძულებული შევიქენ განვშორებოდი თელავს და ჩემს სატრფოს. როგორ გგონიათ, რომ კიდევ გაგრძელებულიყო ჩემი იქ ყოფნა, გამოვიდოდა რამ ჩემი სიყვარულიდან? არაფერი. რადგან ქ. თბილისში რომ გადავედი, თელაველი სატრფოს სიყვარული სხვაზე მიმივარდა, მაგრამ ეს სიყვარულიც პირველსა ჰგავდა, „შორით კდომა, შორით დაგვა" იყო ჩემი ნუგეში და, ვიდრე არ დავვაჟკაცდი და იმისა, ვინც მიყვარდა, ცოლად შერთვა არ განვიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე...

ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ნუთისოფელი"

25.

ვაჟა-ფშაველამ ოთარაშენში ამილახვართან მასწავლებლობისას გაიცნო და შეიყვარა ამილახვრის ოჯახში გაზრდილი ქალი ეკატერინე, რომელიც თავად ოთარ ამილახვრის „უქორწინო“ შვილი იყო და დედის გვარზე, ნებიერიძედ იწერებოდა.

ვაჟამ გადაწყვიტა ეკატერინეს ცოლად შერთვა, რის შესახებაც მამას აცნობა. პავლეს თხოვნით, მაყარში გავყევი. ვაჟას მცხეთაში შევხვდით. პატარძალი წამოვიყვანეთ... შევისვენეთ გიორგი ანთაურისა და ხიწვა თურმანაულის დუქანთან. დუქანში ღვინით ვაჭრობდნენ. მოქეიფეებმა შეიტყვეს, რომ ვაჟას უცხო მხრიდან პატარძალი მოჰყავდა, რაც თემის ადათის დარღვევას ნიშნავდა. ნეფის გაღიზიანების მიზნით, გიჟათ ქურსიკმა (გოგოლაური) წაიკაფიავა: „უჩიტელს მაჰყავ ცოლიო, ურიაია ყროლიო, რადრარა უნდა ბეჩავსა“...

ამ სიტყვებმა ახალგაზრდა ვაჟა გააცეცხლა, შევარდა სამიკიტნოში და გიჟათ ქურსიკს მიეჭრა. ქურსიკმა ხანჯალი იძრო და ვაჟას დაუქნია. ვაჟამ ხანჯალი აიცდინა. თვითონ ხანჯალი არ ერტყა. ბიძაშვილის ხანჯალი ამოაელვა ქარქაშიდან, სწრაფად დაუქნია მოშუღარს და მარცხენა ყური ძირში ჩამოათალა. „აი, ახლა აგინე „უჩიტელსაო“. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა... მოშუღარნი გავაშველეთ და მაყრიონმა ჩარგლისაკენ გავწიეთ.

ხვთისო ცქიფურიშვილი

26.

ლუკას პირველ ცოლზე, კეკეზე მეზობლის დედა-კაცები იტყოდნენ ხოლმე: კეკე იმდენად პატარა ტანის იყოო, რომ მაზლები ბავშვივით ხელში აიყვანდნენ და ისე ათამაშებდნენო.

თამარ დიდებაშვილი

27.

ლუკა, ამხანაგებთან ერთად, სათიბში იყო წასული აფხუშოს თავს. მოუავადებია თავი. ამხანაგებისათვის უთქვამს: – მოვიწამლე, წყალს რაღაც ჩავაყოლე და ვკვდებიო (თურმე მთიდან ბარში ფეხით ჩამოსვლა ეზარებოდა და იმიტომ მოუმიზეზებია ავადმყოფობა). აბა, ძმებო, მიშველეთ, ახლა მჭირდება თქვენი დახმარება, ვკვდები, არიქათ, ჩქარა საკაცე შეკარით, ჩამიტანეთ შინ, რომ უზიარებელი არ მოვკვდეო.

ამხანაგებს საჩქაროდ საკაცის ხეები გამოუჭრიათ, ზედ დაუწვენიათ ლუკა და ჩამოუტანიათ შინ. საკაცე დაუსვენებიათ კარებთან. კაცი არ ინძრევა. კეკე, ვაჟას პირველი ცოლი, თავზარდაცემული გამოვარდნილა სახლიდან. ყველა შეწუხებული იყო. რამდენიმე წუთში ლუკა განძრეულა. ცოლისთვის უთქვამს: – არაყი მომიტანეო! კეკეს მაშინვე გამოუტანია ბოთლით არაყი. ლუკას გამოურთმევია ბოთლი, დაუსხამს ჭიქაში, დაულევია. შემდეგ ბოთლი ჭიქით კეკესთვის მიუწოდებია: – ბიჭებს მიუტანე, ალალიაო. თვითონ საკაციდან წამომდგარა და შინ შესულა.

28.

მამა ყვარელში იყო წასული, იქ ეთქვათ სანადიროდ ნამყოფისთვინა, ცოლი მოგიკვდა, წვრილშვილი ლოგინში ჩამსხდარი გიჟივისო... ნეტა აქა ყოფილიყო, იქნება დედას ეცოცხლა!.. შინ რო მოსულა (მაგარი ყოფილა მამაი, ალბათ, ფიქრობდა გავერთო რამითაო, ჯავრმა არ მაჯობოს, ხალხმა არ შემატყოს ნაღველიო), აუღია ფანდური. უკრავს ამ ფანდურს და თან დამღერის:

ნუ მოხვალ, თორო ინანებ,
მოსვლაში არა ყრიაო...

თურმე დედას ეუბნებოდა, სანამ მაიყვანდა ჩარგალსა, რო შენ იქაურს ჯაფასა და ცხოვრებას ვერ შეურიგდებიო. – კიო, კიო, კიო! – დედასა... ნუ მოხვალ, თორო ინანებო, აი, მაგას აგონებდა კეკეს-დედასა.

გულქან რაზიკაშვილი

ვაჟა-ფშაველას ძმა,
სანდრო რაზიკაშვილი



29.

მამას გაუვლავ, ძველი ტანსაცმელი სცმია, რაცა ჰქონდა, ისა სცმია. შაყრილები არიან ეს მწერლები და არ უგდეს ყური მამას, არად ჩააგდეს... იმ ჩამობღლეძილ ქალამნებიან კაცს რას მიიწვევდნენ...

მოუვიდა მამასა ჯავრი. არ ექნებოდა ბეჩავს თავისი. თუ ჩაიცვამდა, სანდროსასა, – ძმისასა. გამოიარა. – მოდი, ვაჟავ, მოდიო, – მიაწვადეს ღვინის ჭიქა. დაიბრუნა* მასრებზე და: – რასა შვრები, ვაჟაო! – მე რასა ვშვრები?! ტანისამოსს ეცით პატივი, თორემ ძველმანით წელანაც აქეთ არ გავიარეო?! დამშრალან ყველანი...

მემრე შარიგებ-შამორიგებულან.

გულქან რაზიკაშვილი

---

* დაისხა.

30.

ლუკას ზოგიერთივით კოხტა ჩაცმა არ უყვარდა. როგორი ტანისამოსიც უნდა სცმოდა, იმისთვის სულერთი იყო. ხშირად ფეხშიშველიც დადიოდა.

კატო ცქიფაშვილი

31.

ვაჟა ახალგაზრდობაში და შემდეგაც, სანამ ციმბირის ჭირი თვალს გაუფუჭებდა, მშვენიერი შეხედულების ვაჟკაცი იყო. მისი ჩასხმული, განიერი მხარბეჭი და წინ წამოდგმული გულ-მკერდი მართლაც რომ ამშვენებდა ვაჟას.

წერა-კითხვის საზოგადოებიდან სახლში, ბინაზე, მიმავალ ვაჟას თავისი გახუნებული ნაბდით მოუხდა კონკაში ჩაჯდომა, მაშინ ტრამვაის ხსენებაც კი არსად იყო. ერთ-ერთ შესაჩერებელ ადგილზე ვიღაც კოპწია ქალი გაჩერებულიყო კონკაში ჩასაჯდომად, ალაგი არც ერთ სკამზე არ იყო. რაკი ახალგაზრდა კონდუქტორსაც თვალი შეუთამაშდა ლამაზი ქალის დანახვაზე, არც აცია, არც აცხელა და რუსულად უბრძანა ვაჟას ჩამოსვლა.

ვაჟამ, ვითომ ვერც კი გაიგონა, ყურადღება არ მიაქცია. მეორედ კიდევ რომ გაუმეორა და მესამედ შეტევით უთხრა: «Ну, соиди, болван», ვაჟამაც არც აცია, არც აცხელა და თავხედ კონდუქტორს ისეთი უთავაზა ხელუკუღმა ყბაში, რომ კონდუქტორი მოწყვეტით გაიშალა მინაზე თავის ბილეთებ-ჩანთიანად.

როცა მოვიდა წესრიგის დამცველი და მოისმინა ვაჟას დალაგებული რუსულით ახსნა-განმარტება, ეს ამოდენა კონკაში მსხდომი ხალხი გაკვირდა ასე უბრალო ტანისამოსიანი კაცის პასუხით და ყველამ უმოწმა, კონდუქტორი ტყუოდაო.

შიო მღვიმელი

32.

მამას ხორცი რაღაცა უყიდნია. სცემიყო ციმბირის წყლული. თვალი ჰქონდა გადმობრუნებული... ის ცოტათი ნითლად გადმობრუნებული უპე არას უშლიდა. სიბნელეში სხივები ედგა მამასა.

გულქან რაზიკაშვილი

33.

დედაჩემი ვაჟა-ფშაველას ბიძის, მახარე (მწარია) რაზიკაშვილის შვილი იყო. მისი გადმოცემით ვაჟა ხშირად დაიარებოდა ჩვენთან, უამბობდა პაპაჩემს ქვეყნის ამბებს.

ეს ის მწარია რაზიკაშვილია, რომლისგან ნაყიდი ციმბირისწყლულიანი ძროხის ხორცის ჭამის შემდეგ სამუდამოდ დაუზიანდა თვალი სასიქადულო მგოსანს. ამას საშინლად განიცდიდა თურმე პაპაჩემი. ვაჟას შეუმჩნეველი არ დარჩენია ეს ამბავი და უთქვამს მისთვის:

– არ მეგონა, თუ ეს წყეული ციმბირის წყლული არწივს რამეს დააკლებდაო.

პაპაჩემს ნაღვლიანად გაჰღიმებია და შეუბედავს ვაჟასათვის:

– ლუკავ, ნეტავ შენ არ დაგმართნოდა და მე გამომთხრიყო ორივ თვალიო.

ამ სიტყვებზე ვაჟას გულიანად გასცინებია, ხელი მაგრად დაუკრავს მხარზე პაპაჩემისათვის და დაუყოლებია:

– არაფერია, ახუდი (ასე ეძახდა თურმე ვაჟა პაპაჩემს), ეხლა უფრო საშიში ვიქნები მტრისათვის – თვალწითელი არწივიო.

ნიკო რაზიკაშვილი

34.

ერთგან სადღაც პირველად ნახეს ვაჟა და დიდის ამბით მოელოდნენ თურმე მის ნახვას. ვერ მოეხდინა საზოგადოებაზედ სასურველი შთაბეჭდილება თავისი გარეგნობით, რაც არ გამოეპარა მას და სიცილით მიამბო ამაზედ: ირაკლი მეფისა და ხევსურის შეხვედრა მამაგონდაო. ერთმა ხევსურმა პირველად ნახა ირაკლი მეფე და ასე მიჰმართაო: „შენ სახელ სჯობდის, მეფევ, შენ ნახვასაო“.

მელანია (ნიკოლოზ ნათიძე)

35.

ვაჟას ეჯავრებოდა გრძელი სადღეგრძელოს თქმა. არ უყვარდა, აგრეთვე, ჩაის სმა და ბალიშზე თავის დადება, ცოდვაა, თავი დაიკარგება შიგო, ამიტომ უფრო მუთაქას ხმარობდა.

სოლომონ ყუბანეიშვილი

36.

...მისთვის ქეიფი წამება იყო, ვერ იტანდა ვერც სმას, ვერც ბევრ ხმაურს და უარზაურს, სუფრიდან პირველი ადგებოდა, გაივლ-გამოივლიდა, მეორე ოთახში გავიდოდა და თავის საქმეს ჩაუჯდებოდა ხოლმე.

ეთერ რაზიკაშვილი

37.

როცა მამა გაჯავრდებოდა, იტყოდა ხოლმე: საკრამენტო, საკრამენტოო! ამას დიდი გაჯავრების დროს იტყოდა ხოლმე.

თამარ რაზიკაშვილი

38.

მამა სიმართლის მთქმელი იყო, სიმართლისა, თავს არ დაზოგავდა, არ ვიცი, რადა ჰქონდა ეგეთი ხასიათი.

გულქან რაზიკაშვილი

39.

მეტად უცნაური ხასიათი ჰქონდა მამას. თუ გული რამეზე მოუვიდოდა, იყო მძვინვარე, როგორც ვეფხვი, ახლოს ვერ გაეკარებოდი, იყო სრულიად უშიშარი და უკან დაუხეველი თვით სიკვდილის წინაშეც კი. ჩვეულებრივ, მამა იყო მეტისმეტად მშვიდი, წყნარი, დარბაისელი, გულალალი, ბავშვივით მიამიტი, უეშმაკო და მეტისმეტად მგრძნობიარე. მაშინვე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალზე, თუ ისეთ რამე ამბავს ეტყოდა ვინმე.

ვახტანგ რაზიკაშვილი



ვაჟა-ფშაველა შვილთან, ვახტანგთან ერთად

40.

ადამიანის დაჩაგვრას ვერ იტანდა. სხვებთან ყოველთვის ამაზე მოსდიოდა უსიამოვნება. იტყოდა ხოლმე საჯაროდ: „კაცნო, ერთურთს ნუ სჩაგრავთ, ერთურთი უნდა გავიტანოთ!“

ვახტანგ რაზიკაშვილი

41.

ცოდვა უნდა აშინებდეს კაცსაო, – იცოდა, – ბოროტი არ უნდა იყოს კაციო. ცოდვას ეკრძალებოდა, კეთილით უნდა ხსენდებოდესო, – თქვის, – ადამიანიო.

გულქან რაზიკაშვილი

42.

ლუკამ გულიანი სიცილი არ იცოდა, მარტო იღიმებოდა ხოლმე.

თამარ დიდებაშვილი

43.

თუ ვინმეს სიკვდილს გაიგონებდა, ჭირისუფალივით შეწუხდებოდა ხოლმე. სოფელს ჭირსა და ლხინში გვერდში ედგა და არ გამოირჩეოდა მათგან, თავს არავისზე მაღლა არ აყენებდა. პირიქით, უყვარდა შინაურებში თავმდაბლობა; პატიოსნება, სინდისი, ადამიანის სამსახური და ხალხის ზნე-ჩვეულებების პატივისცემა. არ დააკლდებოდა არც ხატობას, არც ქორწილს, არც ხალარჯობას. ყველგან გაჩნდებოდა თავისი ხარჯით.

ვახტანგ რაზიკაშვილი

44.

ფოცხვერას ცოლმა მარიამმა მიამბო: ლუკამ ხომ პურის ჭამა არ იცის, სამ ხინკალზე მეტს არ შესჭამს. ერთხელ ჩემს თქმაზე, – პურის ჭამა არ იცი, რად გინდა ნახნავ-ნათესი, სამი ხინკალი ბალღსაც ვერ გააძღობს-მეთქი, – ლუკამ მიპასუხა: – არწივი ცოტასა სჭამს, მაგრამ როგორი ბიჭიაო.

თამარ დიდებაშვილი

45.

მეზობლის ქალი მოვიდა ლუკასთან და შესჩივლა: – რა ვქნათ, ბეჩავები, საწყლები ვართ, წუხელ ქმარი მომიკვდა, ტიტველია და არ ვიცი, რითი დავმარხოო...

ლუკამ აიღო და თუ რამე გაგვაჩნდა: პური, ფული, სასუდრო, მისცა და უთხრა: აჰა, წაიღე, შე ბეჩავო, იმ კაცს ტიტველს ნუ დამარხავთო. თავის ჩოხა-ახალუხი გაატანა. ფართალი გვქონდა სახლში, – ისიც მისცა, დამარხე ის კაცი და ბალღებს მოუარეო. ქალი სულ ლოცვა-კურთხევით წავიდა შინ.

გულქან რაზიკაშვილი

46.

ჩვენს ახლოს ორი კომლი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ – ბერის მჭედელა და სანიკუანთ ივანე. ორივე ჩვენზე ღარიბები იყვნენ. ერთსაც და მეორესაც მამა თავის ძველ ტანსაცმელს აძლევდა. ეს მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ტიტველები ვიყავით.

ერთხელ მჭედელაანთ პური გამოლეოდათ. მამა-ჩემმა თქვა: მშივრები ყოფილან, ფქვილი ჩაუყარეთ, მიეცითო. აღარ მახსოვს, ვინა თქვა: ვერ გადაიხდიანო. ვერ გადაიხდიან და ნუ გადაიხდიან, ხალხი მშივრები ყოფილან, ახლავე მიეცითო! – გაჯავრდა მამა.

თამარ რაზიკაშვილი

47.

ერთხელა შინ ვიყავით მთელი ჯალაბი. მთხოარაები მოადგნენ ჩვენ სახლსა. გამახედა მამამა. ორი ჯეილი კაცი იყო. – რას დადიხართ, რას თხოულობთო, ამოდენა ვირები ხართ, აიღეთ ეს ბარი, აგე, ემანდ ბოსტანს ხო ხედავთ, დამიბარეთ, ოფლი გამოიყვანეთ და შრომის საფასურსაც გადაგიხდითო, თქვე უსაქმურებოო, თქვენაო, თქვენი ფეხი აღარ ვნახო ამ არემარეშიო.

გარბოდნენ თავქუდმოგლეჯილი მთხოარაები, – ეს ვინ არი, ეს რა კაცი ყოფილა, მეხივით არ დაგვეცა თავსაო... ჩარბოდნენ დაღმა ჩვენ ეზოზე და მიჰკიოდა მამაი.

გულქან რაზიკაშვილი



ვაჟა-ფშაველა შვილის – ლევანის ქორწილში, გორში

48.

ერთხელ გორს, თვარელიძეების ოჯახში, ვაჟას შვილის, ლევანის ქორწილი იყო. ვაჟა ჩამოვიდა ჩემთან თბილისში და მითხრა: შვილის ქორწილში უნდა წაგიყვანოო. მაშინ ჩემი ქმარი ცოცხალი აღარ იყო და პატარა ბავშვი მყავდა. არ მომეშვა: ვიცი, რისთვისაც არ მოდიხარ, ალბათ, საჩუქარი არა გაქვსო. წავიდა. ოქროს ბეჭედი ეყიდა. მოიტანა და მითხრა: აი, ეს მიართვი შენს რძალს საჩუქრადო. არ მომეშვა, მაინც წამიყვანა.

ქეთო დიდებაშვილი

49.

ერთხელ ვაჟა და ჩვენი სხვა მეზობლები თიანეთში დაიბარეს. შეგროვდნენ თურმე კანცელარიის ეზოში და თავის გასაჭირს ერთმანეთს უამბობდნენ. კანცელარიის აივანზე ვილაც დიდი მოხელე გადმომდგარა, ხალხი უგინებია და უყვირია: – ვილაცეები მოთრეულხართ, რას ღრიალებთ, რატომ ჩუმად არ ლაპარაკობთო. ვაჟას ეს ვერ მოუთმენია, ავარდნილა აივანზე და თავის კაბინეტში მოხელისათვის სილა გაურტყამს. ჩაფრები ვაჟას დასაჭერად მიწეულან. ვაჟას ხანჯლით დაეცვა თავი და მასთან ვერაფერს გამხდარან.

თამარ რაზიკაშვილი

50.

ვაჟას ქალები უყვარდაო!.. სადა სცალოდა ნაწლობისა და ქალებისთვინა; მე არ ვიცოდი, მამა რაი იყო, მაშ... რომელი მწერალია, რო ქალებზე არა სწერდეს!.. ფეთებას შეიყრიდა, ქალი რასა ჰქვიანო, განა ქალს არ ახსენებდა, ქვეყანა ლამაზიც არი და უშნოცა, თვალების ჭკვაზე რად უნდა იაროს კაცმაო?.. გულის ხმაზე უნდა იაროს, გულის ჭკვაზედაო, – იცოდა.

გულქან რაზიკაშვილი

51.

ვაჟამ ქალებთან ხუმრობა იცოდა, მაგრამ ქალებზე ცუდს ვერ დააცდენდით. ასეთ საქციელისათვის სხვას ჰგმობდა და ჰკიცხავდა.

ერთხელ ვაჟა სტუმრად იყო ჩვენთან. მეზობლები ლაპარაკობდნენ ვიღაც კაცზე, ის კაცი ძმის ცოლს ჰყვარობსო. ვაჟას არ მოეწონა ასეთი ლაპარაკი. გავარდა გარეთ და ბოლთის ცემა დაიწყო, მერე ისევ სახლში შემობრუნდა და დედაკაცებს თავისებურად დაუტია – ასეთ ლაპარაკს თავი დაანებეთო.

ნინო ბაჩიაშვილი

52.

ჩარგალში, ჩემი ბიძაშვილის, იოსებ ნაყეურის ქორწილში ვიყავი... ეჯიბი ვიყავი, ქორწილის ორგანიზაცია მევალებოდა, მაგრამ საქორწინო გვირგვინები ჩარგლის ეკლესიაში არ აღმოჩნდა. შევწუხდი, რადგან გვირგვინის უქონლობის გამო ნეფე-პატარძალს ჯვარს არ გადასწერდნენ და არც გამოგვატანდნენ.

ვაჟა-ფშაველა, როგორც ნეფის ნათლია, ქორწილში იყო მოწვეული. თავისთან მიიხმო დედოფლის ბიძა და უთხრა: – ადამიანებო, რატომ წუხდებით! რომელი სირმიანი გვირგვინი იქნება ბუნებრივ ყვავილებზე უკეთესი? მოკრიფეთ ნაირ-ნაირი ყვავილები და მათგან ცოცხალი გვირგვინი დაწანითო. მდგომარეობიდან ვაჟამ გამოგვიყვანა. მან თავისი ხელით მოქსოვა ყვავილების ორი გვირგვინი და სუფრაზე დაალაგა.

ნეფესა და პატარძალს ყვავილების გვირგვინები დავხურეთ და ქორწილიც გაგრძელდა.

თევდორე ნაყეური

53.

ძალიან ღარიბად უხდებოდა ცხოვრება ვაჟას. აი, რა უთქვამს მას ამის შესახებ ა. მიქაბერიძისათვის: „ჩემ ნივთიერ გაჭირვებას და შევიწროებას ბოლო არ უჩანს. ნავთი და მარილი რაა, ოჯახში თავისუფლად და გაბედვით ვერ შემომიტანია. მზის ჩასვლისას ქათამსავით თვალებს ვხუჭავ და ლოგინს თავს ვაფარებ. ცეცხლი არაა, ლობიოსათვის მარილის შოვნაც გეძნელებოდეს! ასეთ პირობებში ვის სცალია ლიტერატურის განვითარებაზედ იფიქროს. ზოგჯერ დიდი სურვილი მაქვს ჩავიმუხლო და რაიმე დავწერო, მასალა ბლომად მომეპოვება, მაგრამ განა შეიძლება გულდამშვიდებით ვწერო, როცა თვალწინ სახრჩობელასავით მეხატება ჩემი ნივთიერად უმწეო მდგომარეობა, ჩემი ცოლ-შვილის ლუკმაპურის მოსაპოვებლად ყოველდღიურად ტანჯვა და ვაება“.

სოლომონ ყუბანეიშვილის მიხედვით

54.

გაზაფხულზე ვაჟა-ფშაველა თბილისისაკენ გაეშურა ფერად-ზოლიანი ხურჯინით. სააღდგომოდ დაბრუნდა შინ, სურსათი, მარილი და ნავთი ამოიტანა, თანაც ბავშვებისათვის ვარდისფერი ჩითის საკაბეები მოაყოლა. მას ცრემლები უბრწყინავდა თვალებში, როცა ჩვენს აღტაცებას ხედავდა: ფული არ მეყო, თორემ წითელ-წითელ ჩუსტებსაც ნამოგიღებდითო, – გვითხრა თითქმის მობოდიშებით და ეს თვალჩამობღლეძილი გოლიათი ისეთი ლამაზი და გულკეთილი იყო, მთელი ქვეყანა რომ მოგვდგომოდა, ვერავინ გადაგვაჯერებდა მის სიმართლეში.

ეთერ რაზიკაშვილი



ვაჟა-ფშაველა ჩარგალში, თავისი სახლის წინ

55.

ლუკამ ყველა საქმე იცოდა. დიდთან დიდი იყო, პატარასთან – პატარა... იგი ძალიან ბეჩავად ცხოვრობდა. როგორც ჩვენ, მისი მეზობლები, ჩვეულებრივ ფშაველები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ, ისე მუშაობდა და ცხოვრობდა. ტანისამოსიც ჩვეულებრივ ფშაველზე კარგი არ ეცვა.

ვაჟა სახლში სტუმრად მყავდა. გავუბედე: – ლუკავ, კაცთსაკითხი კაცი ხარ, ჩვენზე უკეთესად უნდა ცხოვრობდე. მდიდრული ტანსაცმელი უნდა გეცვას. ხომ შეგიძლიან, რატომ ჩინოვნიკად მაინც არსად დადგები-მეთქი? ლუკამ გაიცინა და მითხრა: – ოსავ, ეგენი არ მადარდებს. თუკი თავი თან მახლავს, ღარიბად არ ვიხსენიები. ჯერ სულ სხვა საქმე მაქვს სადარდებელი. ჩემი ქვეყნის ბედი მაფიქრებსო.

ოსა ზურაბიშვილი

56.

ქმარი მეფის მოხელეებმა მომიკლეს. დავრჩი ქვრივობლად. აღსაზრდელი ორი გოგონა მყავდა. გუთნისდედაც მე ვიყავი და ოჯახის მამაც. ცხოვრება მიჭირდა. ერთხელ გუთანი გამიტყდა, ყველა თავის საქმეს აკეთებდა. აბა, ვინ მომხედავდა, მეზობელი თევდორე მეხმარებოდა. ვაჟამ იმ დროს ჩამოიარა, მთიდან ბარში მიდიოდა. მთელი დღე იმუშავა, ვიდრე გუთან-უღელი კარგად არ ამიწყო, არ წასულა. გასამრჯელო შევთავაზე. არ აიღო. – აი, ბალღები გაზარდე, – მითხრა მან, – ეს იქნება ჩემი გასამრჯელო. გაიზრდებიან და ოდესმე მომიგონებენო.

როცა ვაჟა სოფელში გამოჩნდებოდა, თითქოს ახალი წესრიგი მყარდებოდა ჩვენს ცხოვრებაში.

ნინო ქართველიშვილი

57.

მამას ფანდური ყოველთვის გვერდით ედო, მაგრამ ხანგრძლივი დაკვრა და სიმღერა არ უყვარდა. ერთი ჩაჰკრავდა თითებს და უმალ გადასდებდა გვერდით, ან წერას მიუბრუნდებოდა, ან ადგებოდა და ბოლთასა სცემდა მცირე ხნით, ან კიდევ დაწვებოდა გულაღმა, ბალიშს ბალიშზე დასდებდა, რომელიმე წიგნს გადაშლიდა, დაიდებდა მუხლებზე და კითხულობდა.

ვახტანგ რაზიკაშვილი

58.

არ უყვარდა, როდესაც მის მაგიდას ვინმე ხელს ახლებდა. თუ მივეკარებოდით და ნაწერებს ავრევდით, ვაი ჩვენ ტყავს! როცა ის წერდა, დღისით ბუზიც ვერ გაფრინდებოდა, კარებს ვერ გავაღებდით. ხშირად გორაზე იცოდა ჯდომა ჩვენი სახლის გვერდით. სადაც მწვანე ბუსნო* იქნებოდა, იქ ჩამოხტებოდა, ცხენს მოაძოებდა, უბიდან წიგნაკს ამოიღებდა და ჩასწერდა. ხანდახან, როცა ცხენი ნელა მიჰყავდა, მაშინაც წერდა, და თან არაგვის ხეობას აყოლებდა თვალს.

თამარ რაზიკაშვილი

---

* ამწვანებული კორდის მონაკვეთი.



ვაჟა-ფშაველა ოჯახთან ერთად

59.

ხან ნამგალს დააგდებდა, ხან ცელსა და სწერდა და სწერდა... ერთხელ გავლეწეთ ორი კალო ერთადა. ავდარი წამოვიდა. ისე, რო უნდა დაგვიწვიმოს, სანამდი ხვავს მოვაქუჩებთ, ბზეს გავაცლით. მამა კალოს პირზე ზის, წერს. ჩემმა დედინაცვალმა გამაიარა და: – ეე, რასა სჩხაპნიო! მამაჩემმა გამახედა და: – შენ რო რამე გესმოდეს, მეტყოდი, დასწერე, დასწერეო...

გულქან რაზიკაშვილი

60.

მეტყოდა, რო ძროხებში ყოველდღე ახალ-ახალი ია მოკრიფე, სტაქანში გააკეთე და მაგიდაზე დამიდგი, გოგოო.

გულქან რაზიკაშვილი

61.

ერთხელ მე და ლუკა ყანასა ვმკიდით... იმ ხანებში რომელიღაც პოემაზე მუშაობდა... ყანა ძალზე გადამწიფებული იყო... დაყოვნება არ შეიძლებოდა, ყანა უნდა მოგვემკო სასწრაფოდ. ლუკას უცბად რაღაც აზრი მოუვიდა, ნამგალსათითეები ძირს დადო და აჩქარებული ნაბიჯით დაეშო თავქვე...

დამტოვა მარტოკა ყანაში: მომკალიც, მკონავიც და ძნის ამგებელიც. სამივე საქმე უნდა შემესრულებინა მარტოკა. მეც ხომ ვერ მივატოვებდი ყანას. საღამოთი ავკონე და... შინ ჩამოვედი...

ლუკა მაგიდას მისჯდომოდა, რაღაცას წერდა. ჩემსკენ არ მოუხედავს, თითქოს ვერც კი იგრძნო ჩემი მისვლა... როცა გამოვდიოდი, დამიძახა: – ქალო, ხინკალი მინდა, ერთი, ხინკალი მოვხარშოთო. დაღლილი ვიყავი და ძალიან დამეზარა, მაგრამ სიტყვა არ შემიბრუნებია...

როგორც იქნა, მოვხარშე ხინკალი და შევუტანე ხონჩით. ლუკას სახეზე ღიმილმა გადაურბინა. შევატყვე, ესიამოვნა. შემომხედა და მითხრა: – ყოჩაღ დედაკაცოო!

თამარ დიდებაშვილი



ვაჟა-ფშაველა მეუღლესთან, თამარ დიდებაშვილთან და ვაჟებთან – ლევანსა და ვახტანგთან ერთად

თამარ დიდებაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე

62.

ლუკას ხასიათი გაგებული მქონდა, ამიტომ ხელს ვუწყობდი, ვერ ვუბედავდი დაჟინებით მეთქვა, ოჯახს შენახვა სჭირდება, გაისარჯე, ცოლ-შვილს რჩენა უნდა-მეთქი. როგორც იყო, ერთხელ გაბრაზებულმა გავბედე და ვუთხარი: – რა არის, კაცო, ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი გყავს, შინ არაფერი გაქვს, ყველაფერი თავდება, შენ კი ზიხარ, ჯღაბნი და სულ ჯღაბნი-მეთქი. მოველოდი, ძალიან გაჯავრდებოდა, ჩემი ნათქვამისა მევე შემეშინდა. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. გაიცინა და მითხრა: – ეეჰ, შე საწყალო, უსწავლელი ხარ და რა გითხრა, ნასწავლი რომ იყო, მაგ სიტყვას არ გაპატიებდიო.

თამარ დიდებაშვილი

63.

ზოგჯერ გათენებამდე სწერდა. გამოვიღვიძებდი, გავუჯავრდებოდი: დაიძინოო, ლუკავ, რატომ ღონდები-მეთქი. – მუზა დამეკარგება, თამარო, შენ თვითონ დაიძინოდიო, – მეტყოდა.

– დაჯექი, თამარო, ეხლა სხვა არაფერზე იფიქრო, მხოლოდ ჩემ ლექსებს დაუგდე ყური...

ლექსებში ქალებზეც იყო ნათქვამი.

– კარგია, ლუკავ, მაგრამ ქალებს შიგ რაღას დააატან-მეთქი! – ვუსაყვედურებდი.

– თუ ქალის, ვარდისა და იის სინაზეზე არ დავწერე, აბა, ლექსი როგორ დავწეროო, – მეტყოდა.

64.

გუთანზე ხარებს ულალავდი მამასა. მეტყოდა, დააყე ხარებიო. სწრაფად მეტყოდა, ულოდნელადა. დავშინდებოდი... ჩაჯდებოდა კვალში, ამაიღებდა ქაღალდსა და სწერავდა რაღაცასა... მემრე მეტყოდა, გარეკე ეხლაო.

სათიბშიაც ისე იცოდა, ცელს დააგდებდა, ერთ წუთს დაჯდებოდა, სწერდა და მერე ისევ თიბას დაიწყებდა.

გულქან რაზიკაშვილი

65.

მამაჩემი ფოცხვერა და ვაჟა დიდი მეგობრები იყვნენ. ერთად დადიოდნენ ხოლმე სანადიროდ, საღამოობით კი ხინკლის კეთებას იწყებდნენ.

ერთხელ, ხინკალს რომ შეექცეოდნენ, ყველასათვის მოულოდნელად ვაჟა წამოდგა, გარეთ გავიდა, და შინ აღარც შემობრუნებულა. მამამ გამაგზავნა, ერთი ნახე, რა დაემართა იმ კაცსო. მე ვაჟას სახლში მივირბინე და მის მეუღლეს ვკითხე: ვაჟას ხომ არაფერი დამართნია-მეთქი?..

– აი, ნახე, რაც დაემართაო! – მითხრა ვაჟას მეუღლემ.

მე მოკრძალებით შევიხედე ვაჟას ოთახში. იგი მაგიდას მისჯდომოდა და წერდა.

დათუნა ბაჩიაშვილი

66.

ვაჟა წერაშიც თავისებური იყო... ვიდრე კალამს აიღებდა ხელში ლექსის დასაწერად, ზოგჯერ ცალი თვალით ცას მიბჯენილი, გარინდებული იყო, თითქოს ვიღაცას თვალი შეასწრო და უთვალთვალებსო, თითქო ფიქრით ესაიდუმლებაო, ფუჩუნებდა, ბაგეთ მძიმედ არხევდა... ძველად ასე მინახავს მღვდელმთავარი, რომელიც ბარძიმ-ფეშხუმის ზევით აწევის დროს, ზენაარსისაკენ თვალმიპყრობილი, თითქო უფალს შესთხოვდა მადლის გარდმოვლენას. ვაჟა ლექსის წერის დროს ნამდვილი ქურუმი იყო... უწმინდესი მლოცველი და მსხვერპლის შემწირველი.

იოსებ იმედაშვილი

67.

...უნდა მოგახსენოთ, ძალიან დიდ ნაკლადაც რომ ჩამეთვალოს, არც ერთი ჩემი ნაწარმოები ერთხელის მეტად არ გადაწერილა შავად დაწერილიდან და ნაკლებად მქონია შემთხვევა, დაწერილი ადგილები შემესწორებინოს...

წერის დროს ზოგიერთს ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შევუყენებივარ, ცოტა რამეს, ერთ ორ ტაეპს, ზოგისას დასასრულს. „სტუმარ-მასპინძელში", მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს აღაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმარის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეჰხვედრიყო აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემიწირია იმ შენის მეგობრისთვისა".

„გველის მჭამელის" დასასრულმაც ერთ თვემდე ყოყმანში ჩამაგდო.

ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი"

68.

ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი" წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში", რომ ამბობ „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?"

– იქნება ვგულისხმობდე, – ვუპასუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო", – დაიჟინა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მჭევრმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი"

ვაჟა-ფშაველას
ძმა, ნიკო (ბაჩანა)
რაზიკაშვილი



69.

საზოგადოდ, უმცროს ძმებში ვაჟას ხანდახან ბაჩანა თუ შეეკამათებოდა, თორემ სხვები რას გავუბედავდით, გვეშინოდა.

რადგანაც ვაჟას ბაჩანა ზოგჯერ არ უთმენდა და შეეკამათებოდა ხოლმე, ვაჟას არ მოსწონდა, რატომ არ მითმენსო.

ერთხელ გაბრაზებულმა ვაჟამ ბაჩანას შამფური დაარტყა თავში, მაგრამ ბაჩანამ ისე მაგრა დაუჭირა ხელი, რომ ვაჟას ის შამფური ხელიდან გაჰვარდა. ბაჩანა საშინელი ღონიერი იყო.

სანდრო რაზიკაშვილი

70.

როდესაც ბაჩანამ ლექსი „მუხა“ დასწერა, ვაჟამ წერილი მისწერა, რომელშიაც ძალიან აქებდა ამ ლექსს...

მართლაც, ვაჟას ეს ლექსი ისე მოსწონდა, რომ ხშირად, როდესაც საზოგადოებაში ლექსის თქმას სთხოვდნენ, ჯერ ბაჩანას „მუხას“ იტყოდა და შემდეგ თავის „არწივს“.

მიხა რაზიკაშვილი

71.

სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა არაგვზე. მე ვკითხე, თუ არაგვი მთაში როგორ მოდის, ვიწროდ თუ გაშლით, ხიდებია თუ ფონები. აქ ბაჩანამ სთქვა, რომ ბარისახოსთან არაგვზე გადავხტომილვარო. ვაჟამ ჩაიცინა და სთქვა: „ჰო, დიაღ, არაგვზე გადახტა ეს ბიჭი!" ბაჩანა შეფხუკიანდა, დაიკრა გულში მუშტი და დაიწყო ფიცით მტკიცება, რომ მართლა გადამხტარა. მოწმეებსაც კი ასახელებდა. ვაჟა იღიმებოდა და იმეორებდა: „დიაღ, არაგვზე გადახტა ეს ბიჭი!"

ცოტა ხნის შემდეგ ბაჩანა ადგა და მიიმალა სიბნელეში. არ გაიარა დიდმა ხანმა. უცბათ მოგვესმა ფართხალი და მასთან ძახილი: – ვუჰ! ვუჰ! მე და ჯაჯანაშვილი ჩავვარდით და გავიქეცით იქითკენ, საიდანაც მოისმა – ვუჰ! ვუჰ! და რა დავინახეთ? სდგას ბაჩანა მთლად წყალში გაწუწული და ჩოხის ახალუხის კალთებს სწურავს. თურმე იქვე ახლო ნაპირებიდან ბალახგადაფარებული რუ ყოფილიყო. ბაჩანას ვერ შეემჩნია რუ სიბნელეში და შიგ შუაში ჩავარდნილიყო. მოვიდა ბაჩანა მაგიდასთან მთლად დასველებული. „ბიჭო, – გულიანად გაიცინა ვაჟამ, – აკი არაგვზე ხტოდი, აქ კი პატარა რუზედაც ვერ გადამხტარხარ".

ცეცხლი ედებოდა ბაჩანას, მაგრამ რა გაეწყობოდა.

72.

მაღაროსკარში ბაჩანას სკოლის შეგირდი ვიყავი... ვაჟა-ფშაველა ხშირად მოდიოდა თავის ძმასთან.

ბევრჯერ შევსწრებივარ, რომ ძმები კამათობდნენ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების, ლიტერატურისა და ხელოვნების, კრიტიკის საკითხებზე. ხშირად ბაჩანა ვაჟას აშკარა მეტოქეობას უწევდა. თითქმის გათენებამდის იპაექრეს ლიტერატურისა და ხალხური მეტყველების საკითხებზე.

ძმების დაუსრულებელი დავა გაცხარდა „ბახტრიონის“ ზოგიერთი თავის შესახებ. ბაჩანამ მოურიდებლად და ორაზროვნად უთხრა უფროს ძმას:

– ვაჟა, კეთილო, კვირიაზე რომ წერ, „ხმალი წელთ ერტყა წნელითაო“, შეუსაბამოა. ნუთუ გმირმა ვერ იშოვა ბაწარი, ლაფანი, თასმა, ღვედი და სხვ.

– ბაჩანავ, გამიგონია, „მექოთნე ქოთანს, საიდანაც უნდა, იქიდან გამოაბამს ყურსაო“. „ბახტრიონში“ გმირს ჩემებური აღჭურვილობა, ვფიქრობ, მეტ ელფერს აძლევს... შენსავით მაინც არ მოვქცეულვარ. შენ „კაი ყმას“ ტუტუცი და თავსწვერა უწოდე...

ბაჩანამ ტონს აუწია, თავს იმართლებდა, ასაბუთებდა. ძმების დავა სიტყვიერ შეურაცხყოფამდეც კი მივიდა. მაგრამ ჩქარა მონახეს საერთო ენა. ფშაური ლაზათიანი სიმღერა წამოიწყეს. მღეროდნენ ხალხურ ლექსს: „სამი არ გაიწურთნება“...

ტატო მგელაშვილი

73.

ერთხელ, ვაჟა თიანეთში გიორგისთან* ყოფნის დროს თავის საქმეებს რომ მორჩენილიყო, შინ წასასვლელად მომზადებულიყო: შეეკაზმა თავის იორღა ცხენი. აეკიდნა ხურჯინი, გავაზე კიდევ

---

* ვაჟას უფროსი ძმა.

თავისი ძველი ნაბადი დაეკრა, თვითონ კი ბაზარში წასულიყო. ამ დროს გიორგის ეპოვა დრო: მოეხსნა ცხენისთვის ის ნაბადი, გაეშალა, თავის ცხენისათვის ამ ნაბადიდან ორი თექალთო გამოეჭრა, შემდეგ დაეხვია ისევ ნაბადი და ისევ დაეკრა ვაჟას ცხენისათვის...

როდესაც გამოეთხოვა ვაჟა გიორგის, მოახტა თავის „ნიკორას" და მოუსვა შინისაკენ. ივრის მინდორი რომ გაიარა, მიადგა სოფლიონის მთას... ვაჟაც შეუდგა ამ მთას თუ არა, ერთბაშად თურმე კოკისპირულმა წვიმამ კი დაასხა. მოხსნა ვაჟამაც ცხენს ის თავის ნაბადი და მოიხვია, მაგრამ ნაბადმა წვიმა ვერ დაიჭირა და უშენს ვაჟას შიგ ზურგში. ვაჟაც ხან იქით მიუბრუნებს კალთებს ნაბადს და ხან აქეთ, მაგრამ წვიმა თავისას არ იშლის. ბოლოს რომ მიუსვ-მოუსვა ხელი და კარგად გაშინჯა, ჰხედავს, და რას ჰხედავს? იმის ნაბადში ისეთი ფანჯრებია გამოჭრილი, რომ შიგ თურმე ბუღა კამეჩი გაძვრება.

მაშინღა მიხვდა ვაჟა, ვისი „ძაღლობაც" იყო ეს ოინი, მაგრამ რაღას გააწყობდა?

სანდრო რაზიკაშვილი

74.

დიმიტრი ცისკარიშვილმა, რომელიც შემდეგ თელავის სამოქალაქო სასწავლებლის გამგედ იყო, მიამბო: „ჩვენ, ცისკარიშვილები და რაზიკაშვილები, პეტრეს ქალაქში თითქმის სულ ერთად ვიყავით, ხშირად მოდიოდა ჩვენთან ვაჟა. მოუსვენარი იყო ვაჟა. უცბათ შემოიჭრებოდა ოთახში და მეტყოდა: როგორია ვაჟა? „კარგისა არსავ ვაჟა-ფშაველა“, – ვიტყოდი ხოლმე ვაჟას ხევსურულ კილოთი. „ვაჟას“ მე დავუმატე „ფშაველა“, გამოვიდა „ვაჟა-ფშაველა“. ამის შემდეგ სხვებმაც დაუძახეს ლუკას „ვაჟა-ფშაველა“ და ეს სახელი დარჩა ფსევდონიმად“.

შემდეგ თვით ვაჟას ვკითხე და იმანაც დასტური დამცა, რომ „ვაჟა-ფშაველა“ მიტრომ დამარქვა და მეც ფსევდონიმად ვიხმარეო.

ივანე ბუქურაული

75.

ვაჟამ თავისი „მოხუცის ნათქვამი" მოგვიტანა „ივერიაში" დასაბეჭდად. რედაქციაში შევიკრიბენით თანამშრომლები. ხელნაწერი წავიკითხეთ. მკითხველის მოვალეობა კისრად ედვა გიგა ყიფშიძეს, რომელსაც რედაქციის მედავითნეს ვეძახდით. გიგამ თავისებურად, გრძნობით გადააბულულა.

– გიგა, აბა, ერთი კიდევ გადაიკითხე, – ეუბნება ილია. გიგამ გადაიკითხა. ილია დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება იქონია წაკითხულმა, მერე თითქოს ძილიდგან გამოერკვაო, ილიამ აღტაცებით წამოიძახა შემდეგი სიტყვები:

– არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!

იაკობ მანსვეტაშვილი

76.

„ქუჩი ისეთი რამ არის, რომ უკეთესი ძნელადღა შეიძლება... აფერუმ, ვაჟა-ფშაველო!".

ილია ჭავჭავაძის მინაწერი გაზეთ „ივერიის“ 1892 წლის იმ ნომრის აშიაზე, რომელშიც დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ქუჩი“.

77.

ერთხელ, დილით ადრე, როგორც გადმოგვცა გიგა ყიფშიძემ, ჩამოვიდა რედაქციაში ილია ყურში კალამგადებული და გვითხრა არაჩვეულებრივი აღტაცებით: „დაგვებადა, დაგვებადაო!“

ეს სიტყვები გაიმეორა თურმე რამდენჯერმე. შემდეგ გამოიღო ყურიდან კალამი, დადო მაგიდაზე, გადმოგვცა ვაჟას პოემა „მოხუცის ნათქვამი“ და თქვა: „დღეიდან მე თავისუფალი ვარ, დაგვებადა უნიჭიერესი მგოსანი. პოემა ხვალისთვის დაბეჭდეთ (ალბათ კვირა იქნებოდა, პოემები და ლექსები კვირაობით იბეჭდებოდა ხოლმე), მთლიანად, არ გაწყვიტოთო“.

თანამშრომლები გაოცებულნი დავრჩით ასეთი საქციელით. მწერლის დაფასება-ქებაში ილია ძალიან ძუნწი იყოო, – თქვა გიგამ.

დღიდან ვაჟას პოემის გამოქვეყნებისა ილიას აღარაფერი დაუწერია.

დაწერა მხოლოდ ორად ორი ლექსი – ისიც დიდი მუდარისა და ხვეწნის შემდეგ. ერთი – „კითხვა-პასუხი“ და მეორე – „ბაზალეთის ტბა“.

შიო მღვიმელი



ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაშვილი

78.

სოფრომ მგალობლიშვილმა (გაზ. „ივერიაში“) მუდმივ მუშაობას თავი დაანება. იმის მაგიერ უნდა მოგვეწვია ვინმე. სწორედ ამ დროს ვაჟა-ფშაველა უადგილოდ დარჩა და, რადგან მე და გრიგოლ ყიფშიძე კარგად ვიცნობდით, ვარჩიეთ ილიასთან მოგველაპარაკნა და ვაჟა რედაქციაში მოგვეწვია მუდმივ თანამშრომლად.

ვაჟას რედაქციაში მოწვევა მუდმივ მუშაობისათვის გარდაწყვეტილი იყო. მხოლოდ ილია ცოტად ეჭვობდა, გვეუბნებოდა:

– კარგსა ვშვრებით, გამოგვადგება? ან კიდეც რომ გამოგვადგეს, ცოდო არ იქნება, მაგისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩავკლათ?!

მართალს ამბობდა ილია. აქაც წინასწარგრძნობამ არ გაუმტყუნა მას, მალე თვით ვაჟამ მოგვცა პასუხი ზემოდ მოყვანილ საეჭვო საკითხზე.

ვაჟამ რედაქციაში იმუშავა მხოლოდ სამი დღე. ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორესპონდენციებს, ვათარგმნინებდით პატარა წვრილ ამბებს რუსულ გაზეთებიდან. ორ დღეს

მუშაობდა, თუმცა იმის მუშაობას დიდი ხალისი არ ეტყობოდა. მოვიდა რედაქციაში მესამე დღეს. ცოტა ჩაფიქრებული იყო, მივეცი რუსული გაზეთი, მოვუხაზე ერთი ადგილი უცხოეთის ცხოვრების ამბებიდან და ვუთხარი:

– აბა, ლუკა, ეს ადგილი მალე გადამითარგმნე, თორემ სტამბა ძალას გვატანს და მასალა კი ცოტა გვაქვს.

მე საქმეებში გავერთე და ვაჟა დროებით გადამავიწყდა. მომაგონდა და ვუთხარი:

– რა ჰქენ, ლუკა, გადათარგმნე?

წინ დაწერილი ქაღალდი ედვა. ვიფიქრე ეს სწორედ ნათარგმნი იქნება-მეთქი და ხელი დავავლე გადასათვალიერებლად. დავხედე, – ლექსია.

– ეს რა ამბავია, ლუკა? – ვეკითხები.

– თარგმანის სამაგიეროდ ეგ ლექსი დავწერე. თარგმანის მაგიერობას გასწევს.

ამავე დღეს ვაჟამ გამოგვიცხადა, რომ რედაქციას თავს ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა. და ასე გადავწყვიტეთ: მიგვეცა ვაჟასთვის თვეში ხუთი თუმანი, და ვაჟას, სამაგიეროდ, ევალებოდა თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მოეწოდებინა.

79.

ვაჟა ილიას ხშირი სტუმარი იყო. ხელთუბანში ყოფნისას ვაჟა იგონებდა: „ერთხელ ილია ჭავჭავაძისაგან ბარათი მომივიდა. მწერდა: „ჩემო ვაჟა! რას ჩააცივდი მაგ ფშავსა, ჩამოდი... შენი ნაწერები ჩამოგვაშველე „ივერიაში“ დასაბეჭდადო“. მეც შემოუთვალე: „პარასკევს გეახლებით-მეთქი“.

პარასკევს ილია მთელი დღე მელოდა თურმე. რადგან სადილობამაც გადაინია და არ მივედი, ესადილა და დაეძინა. თავისი შინამოსამსახურე გაეფრთხილებინა, რომ ჩემთან უნდა მოვიდეს პოეტი ვაჟა-ფშაველა და თუნდაც რომ მეძინოს, მოვიდეს თუ არა, აუცილებლად გამაღვიძეო. მე სწორედ პარასკევს ჩამოვედი, მაგრამ ცოტა დაგვიანებით. მივედი ილიას ბინაზე, დავურეკე. მოსამსახურემ კარი გამიღო, მაგრამ არ შემიშვა: „ბატონ ილიას სძინავს და სანამ გაიღვიძებდეს, მანდ მოიცადე კორიდორშიო". რა გაეწყობოდა, მეც დავჯექი და მოვუცადე.

ილიას გამოეღვიძა თუ არა, მოსამსახურისათვის უკითხავს, ვაჟა-ფშაველა არ მოსულაო?" „არა, ბატონო, – უპასუხნია მოსამსახურეს, – ერთი კაცი მოვიდა, თავზე მეცხვარის ქუდი ახურავს, თქვენა გკითხულობდა და ეხლაც კორიდორში გიცდისო". ილია გაწყრომია: „ვაჟა-ფშაველა ყოფილა, რატომ მაშინვე არ გამაღვიძე, ამდენი რაზედ ალოდინეო". „არ ვიცოდი, ბატონო", – უთქვამს მოსამსახურეს. ილიას ებრძანა, რომ საჩქაროდ შევეშვი მასთან.

ილიას დიდად გაუხარდა ჩემი ჩამოსვლა, ხოლო თავის მოსამსახურის ქცევაზე თვითონაც იცინა და მეც მაცინაო".

გიორგი ბერძენიშვილი

80.

ყველაზე უფრო მისი ნიჭის დამფასებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვყოლიაო". „ხუთშაბათის სხდომებზე", რომელნიც ილიას ბინაზე ეწყობოდა ხოლმე და რომელთაც ესწრებოდა რედაქციის ყველა წევრი, მწერლები და ილიას მეგობრები, ხშირად კითხულობდნენ ვაჟა-ფშაველას ამა თუ იმ თხზულებას.

ექვთიმე თაყაიშვილი

81.

ილია ვაჟა-ფშაველას ძლიერ მაღლა აყენებდა, მასში ხედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილდოებულს. ოთხმოციანი წლების დასასრულს ილია ხშირად ბეჭდავდა „ივერიაში“ ვაჟა-ფშაველას ლექსებს და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხმამაღლა ნამიკითხავდა ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე.

ხშირად, როცა მის სამუშაო ოთახში შევსულვარ, ილია შემდეგი სიტყვებით მომეგებებოდა: – კარგი საჩუქარი მაქვს თქვენთვისო, და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ ლექსს...

ვაჟა-ფშაველაში ილია ხედავდა ძველი დროის მთელი ქართველობის პანთეისტურ რწმენათა და შეხედულებათა განხორციელებას. ილიას აკვირვებდა ვაჟას ბუნებისადმი ძლიერი გრძნობა.

არტურ ლაისტი

82.

ვაჟა-ფშაველას მიერ შესრულებული შილერის „ორლეანელი ქალწულის“ თარგმანის გამო

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას:

„თარგმანი „ორლეანელი ქალისა“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას, მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვისმე გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილება“.

ილია ჭავჭავაძე, 1905 წ. 21 მარტი

83.

„ივერიის" რედაქციაში, როცა ვაჟას „გველის მჭამელი" ნაიკითხეს, აღიძრა ლაპარაკი, გაგზავნილიყო იგი საზღვარგარეთ განსავითარებლად, ევროპიული განათლების მისაღებად.

ილია ჭავჭავაძემ ხელები გაასავსავა, – ვაი შენ ჩემო თავო, ეგ არ გამაგონოთ, სამუდამოდ დავკარგავთ ამ დიდი ნიჭის პატრონსაო. ევროპაში ფილოსოფიას გამოეკიდება და ამ დიდებულს ჩანგს კაჩხაზე ჩამოკიდებსო... დაანებეთ თავი, იყოს თავის ფშავში და განაგრძოს თავისი შემოქმედებაო.

ასეც მოხდა. ვაჟას დიდებული პოემების დაბეჭდვის შემდეგ ილიამ თურმე სთქვა: „ჩვენ მოგონილი პოეტები ვართ, აი, პოეტი ვაჟაა, რომელმაც მთაც აალაპარაკა, სიპ ქვასაც კი ხმა ამოაღებინაო".

სოფრომ მგალობლიშვილი

84.

ორიოდე სიტყვა აკაკისა და ვაჟას ურთიერთობაზე.

აკაკი ჩემი ჟურნალის გამო ძლიერ დამიახლოვდა. ხშირად შემოიელიდა ხოლმე რედაქციაში და თითქმის საათობით ვმუსაიფობდით... ერთხელ შევეკითხე:

– ბატონო აკაკი, მაპატიეთ, მაგრამ მინდა შეგეკითხოთ: ვაჟა ასე რად გაანადგურეთ?

– ვაჟა გავანადგურე?

– დიახ.

– რით, როდის?

– ენა რომ დაუწუნეთ.

– დასაწუნია და მიტომაც დავუწუნე... სხვებრ როგორ შევკადრებ განადგურებას?

– ხალხმა კი ისე გაიგო: რაკი აკაკიმ ვაჟას ენა დაუწუნა, – გაანადგურაო, მოგეხსენებათ, საქართველოში არავისი სიტყვა ისე არა სჯერათ, როგორც თქვენი...

– ძლიერ შეცდება, თუ ვინმე მომაწერს, ვითომც ვაჟას განადგურება მენებოს... პირიქით, როგორც მოღვაწე-მწერალსა და ნამდვილ ქართველს ძნელად თუ ვინმეს პატივს ვცემდე, როგორც ვაჟას... ეგ ისეთ გმირად ჩამბეჭდია გულში, რომლის მსგავსს სხვას ვერ ვხედავ, რადგან მაგას სიტყვა და საქმე ერთი აქვს!.. ენის დამახინჯება კი არავის უნდა ეპატიოს, – ენა უნდა იყოს ერთი, ნამდვილ ქართული, ხალასი, წმინდა წყარო... მან კი ფშავხევსურების კილოკავები შემოიტანა, რომელიც არავის ესმის... ეს კუთხური გამოთქმანი არ გამოგვადგება.

იოსებ იმედაშვილი

85.

ნაიკითხა მამამ, არ ვიცი, ლექსი აღარ მახსონ, გაზეთში იყო, აკაკიმ რო დაუწუნა. – ენას მიწუნებს აკაკუნაიო, – ისა თქვა. არ იყო ხასიათზე ცუდზედ, არა.

გულქან რაზიკაშვილი



ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაბეილი

86.

ქუთაისში ყოველ წლობით იმართებოდა საღამო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს. ერთხელ საღამოს გამმართველმა კომიტეტმა გადასწყვიტა, საღამოს მონაწილეთა შორის მოეწვია ვაჟაც და ამით საზოგადოებას გაეცნო იგი. საკითხი დაისვა – რა რიგათ მოქცეულიყო კომიტეტი, რადგანაც ვაჟას რიგიანი ჩოხა-ახალუხი არ აქვსო და ჩამოფლეთილი როგორ დავანახოთ საზოგადოებასო. გადაწყდა, ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას, რომ შეეკერა ახალი ჩოხა-ახალუხი, ეყიდნა ახალი ფეხსაცმელები ამ ფულით და ისე ჩამოსულიყო.

საღამოზე სული ამოართვეს პოეტს, იმდენი ლექსები ათქმევინეს. ვაჟაც თავაზიანად ლექსს ლექსზედ ამბობდა და აღტაცებაში მოყავდა ხალხით გატენილი თეატრის დარბაზი. საღამოს შემდეგ გაი-

მართა ვაჟას საპატივსაცემო ბანკეტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველა ქება-დიდებას ასხამდა ვაჟას, მაგრამ ვერასგზით ვერ ააღელვეს იგი. მადლობას უძღვნიდა მის მადიდებელთ და იყო ისევ თავდაჭერილი, ყუჩი, განდიდებას აშორებული ვაჟა, რაც მას ამშვენებდა და საყვარელ ადამიანად ხდიდა.

მეორე დღეს, მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ, ვაჟას ქუთაისში ყოფნის სამახსოვროთ, გადაიღო სურათი. საღამოს მივაცილეთ სადგურამდი და გავისტუმრეთ თბილისში. სადგურისაკენ მიმავალმა, სხვათა შორის, მითხრა:

– ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ, ფშაველოო". კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ, აღარაფერი ყოფილა და ბარემც ასე სთქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! – ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა.

საოცარი იყო ეს ადამიანი: იმდენი ქება-დიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდაბალი ვაჟა იყო; საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული.

დავით კლდიაშვილი



ვაჟა-ფშაველა ქუთაისში. 1913 წელი

87.

არავის არ შეეძლო ლიტერატურულ მასწავლებელთა პატივისცემა და მათი შეყვარება ისე, როგორც ვაჟას: ის ყოველთვის მზად იყო, მუხლი მოეყარა მათ წინ, მაგრამ არა როგორც მონას. ის ხომ თვითონ მეფე იყო, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი, ოქროს სჭრიდა საკუთარი შტამპით.

ყველასათვის ცნობილია აკაკისა და ვაჟას ერთმანეთში დამოკიდებულება. აკაკი გაკვირვებას ეძლეოდა, როდესაც ხედავდა ვაჟა-ფშაველას ტრიუმფს. სამაგიეროდ, ვაჟა მუხლს იყრიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუხებდა მას აკაკის შეხედულება. ასეთია დიდბუნებოვან ხალხთა ცხოვრება.

ვაჟას სიმღერებიდან გამოკრთის უმაღლესი სული, როგორც ვეფხვის ტყაოსნის გმირებში.

გალაკტიონ ტაბიძე, „ძვირფასი საფლავები“

88.

ვაჟა-ფშაველას არქივში დაცულია პოეტის სახუმარო ჩანაწერი, სახელწოდებით „ქართველ მწერალთა შესახებ". პოეტს ქართველი მწერლების სახელები თავისებურად გაურითმავს:

აკაკი – რა კარგი.
ანასტასია – ანუსხე-გადანუსხე.
კატო – ქალთა შორის კარგო.
ილია – იშვიათი ხილია.
იაკობ – „დედა-ენასა" ვშობ.
გრიგოლი – მუზების მიმყოლი.
ცახელი – ცალ-ხელი.
შოთა – შორს გააბოტა.
დავით – გულით მწვავით.*

---

* ჩამოთვლილ სახელთა შორის საგულვებელნი არიან შემდეგი მწერლები:
აკაკი – აკაკი წერეთელი.
ანასტასია – ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.
კატო – ეკატერინე გაბაშვილი.
ილია – ილია ჭავჭავაძე.
იაკობი – იაკობ გოგებაშვილი.
გრიგოლი – გრიგოლ ორბელიანი.
ცახელი – პარმენ თვალჭრელიძე, მწერლობაში ცახელის ფსევდონიმით ცნობილი.
შოთა – შოთა რუსთაველი.
დავით – დავით გურამიშვილი.
შოთას შესახებ ნათქვამი – „შორს გააბოტა" – გადახაზულია ავტორის მიერ.

89.

აღარ მახსოვს კარგათ, რომელ წელს... თფილისის ქართულ თეატრში ერთ წარმოდგენაზედ გახლდათ აკაკი, აქ გაჩნდნენ მეჭორე ლაზუტჩიკები და აკაკის მიუტანეს შემდეგი ჭორი: პ. ცახელს* გუშინ წერილი მოუვიდა ზაქარია ჭიჭინაძისაგან. იგი სწერდა, რომ „ჰარიქა, პარმენ, ფული დროით გამოგზავნე, თორემ მეგრელები მიდიანო და აკაკი მოუკვლელი დარჩებაო...“ ამ ამბავს აკაკი ძალიან აელელვებინა...

---

* პარმენ ცახელი – პარმენ თვალჭრელიძე (1866-1919) – ქართველი პოეტი.

ამ დროს თეატრში ყოფილიყვნენ ვაჟა-ფშაველა და იოსებ დავითაშვილი*. ამათ ეთქვათ: – ეს ჭორები გახლავთო, მოგონებული მტრობითაო. აკაკის ამაღამ ჩვენ მივაცილებთ პარიჟის ნომრებამდის და ვუყარაულებთო...

ამ დროს ვაჟა-ფშაველა ჩემთან სცხოვრობდა სახლში, იმ ღამეს სახლში აღარ მოვიდა...

გათენდა დილა. დილაადრიან ჩემთან მოვიდა იოსებ დავითაშვილი. ამას ვკითხე:

– წუხელი ვაჟა-ფშაველა სახლში არ მოსულა და არ ვიცი, რა დაემართა, თეატრში ხომ არ იყავ, იქნება ნახე?

– წუხელი თეატრი კი არა და სწორეთ ღვთის რისხვა იყო. აკაკი ვიღაცეებმა დაარწმუნეს, რომ პარმენს და ზაქარიას შენი მოკვლა უნდათო... პარიჟის სასტუმრომდე მე და ვაჟა-ფშაველამ მივაცილეთო; მე შინ წაველ და ის კი აკაკისთან დარჩა და პირობაც მისცა, რომ ვიდრე საქმეს არ გამოიძიებენ, მანამდე ვაჟა-ფშაველა აკაკის არ მოსცილდება, მფარველობას გაუწევსო. მიტომ არ მოვიდა წუხელის შინაო.

ზაქარია ჭიჭინაძე

---

* იოსებ დავითაშვილი (1850-1887) – ქართველი პოეტი.

90.

მახსოვს, აკაკის ვუმართავდით იუბილეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა. მე და რამდენიმეს გვეგონა, რომ ვაჟა ამ დროს თბილისში არ იმყოფებოდა და, შეიძლება, ვერ მოეხერხებინა ჩამოსვლა მთიდან, მაგრამ უცებ, მოლოცვების დროს, სცენაზე საიდანღაც გაჩნდა ვაჟა და საზეიმო ხმით დაჭექა.

შეიძრა მთელი დარბაზი. იარუსებიდან გადმოიფრქვა ყვავილები. გეგონებოდა, თითქოს დარბაზი ინგრევაო. ხოლო როდესაც გაისმა:

– ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა...

ანდა:

– სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამაო.

მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. აკაკი ვაჟასკენ წავიდა, ვაჟა – მისკენ და ერთმანეთი გადაკოცნეს.

მე ასე შევატყვე, რომ ორივეს თვალთაგან სიხარულის ცრემლი სდიოდა.

სანდრო შანშიაშვილი

91.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში გამოჩნდა ახალი ერმაკი, ვიღაც, ვითომდა ატამანი თავისუფალი ყაზახებისა – აშინოვი. ცენტრი რომ მოხიბლა ამ გმირმა, ახლა ცდა რუსეთის განაპირა ქვეყნებში მოინდომა. იგი ჩამოვიდა ტფილისს და დაიწყო ოინები.

მაშინ ერთადერთი ქართული გაზეთი „დროება“ გამოდიოდა. იქ დაიბეჭდა სტატია, რომელშიაც ნათ-

ქვამი იყო: „გამოჩენილა ერთი ვიღაც თავზეხელაღებული აშინოვი... რომელიც, სხვათა შორის, გვარწმუნებს: ჩემი ხანჯლის წვერზე მივართმევ რუსეთს თეირანსაო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში იგი მსმენელთა მხოლოდ სიცილს გამოიწვევს, მაგრამ უცნაური ისაა, რომ პოლიცია მას ყურადღებას არ აქცევს“.

ერთ მშვენიერ დილას, რედაქციის კანტორაში ვისხედით: თვითონ რედაქტორი, – განსვენებული სერგეი მესხი, მე და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ასპარეზზე მაშინ ახლად გამოსული, ჩვენი ცნობილი მწერალი ვაჟა-ფშაველა. უცებ შემოვარდა ვიღაც კაცი, ჩასხმული, ქერა, მაცეცათვალებიანი, ყაზახურად გამოწყობილი და დაიწყო გააფთრებულად:

– „დროების“ რედაქცია აქ არის? რომელია რედაქტორი? – დაიყვირა მან.

– რედაქტორი მე ვარ, რა გნებავთ? – უპასუხებს ოდნავ აღელვებული რედაქტორი.

– როგორ თუ რა მნებავს? თქვენ მოათავსეთ სტატია... გალანძღეთ აშინოვი, აშინოვი კი მე ვარ!.. თქვენ გნებავთ ხელი შემიშალოთ?!

– თუ შეიძლებოდეს, ნუ ყვირით. აქ ბაზარი კი არა, რედაქციაა! მიბრძანდით აქედან.

– რას ნიშნავს, მივბრძანდე? როგორ თუ მივბრძანდე! მე აქედან ცოცხალი არ გავალ, სანამ ჩემ-

თანვე თქვენ მიერ დაბეჭდილის უარყოფას არ დასწერთ... – დაიყვირა მან და ხანჯალზე ხელი გაიელო.

რედაქტორი გაფითრდა. მე კი შევშინდი, მაგრამ ახალგაზრდა მთიელი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა მთელ ამ სცენას, უცებ წამოხტა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი, მაღლა აიტაცა და დაუყვირა: „ვის აშინებ შენ ხანჯლითა, ჰა? იცოდე, შე უბადრუკო, ვიდრე ხანჯალს ამოიღებდე, თავს ათჯერ წაგაცლი!"

ჩვენი „გმირი", რომელიც თავისი ხანჯლის წვერზე თეირანის მორთმევას გვპირდებოდა, ამნაირ რამეს არ მოელოდა, მას უცბად მიავიწყდა თავისი ხანჯალი, კილოც იცვალა და მთავრობასთან ჩივილით დაგვიწყო მუქარა. მაგრამ ახალგაზრდა მთიელმა დიდხანს ლაპარაკი არ დააცალა: ჰკრა პანღური და კიბეებზე დააგორა.

მართალი რომ გითხრათ, რამდენიმე დღეს ჩემს ტაფაში ვერა ვგრძნობდი თავს, მეშინოდა, ქუჩაში არ შევხვედროდი ამ თავზეხელაღებულს, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს ცრუ „გმირი" იმავე დღეს, რა დღესაც რედაქციიდან პანღურით გამოისტუმრეს, ტფილისიდან სადღაც გამქრალიყო და მისი კვალიც არავინ იცოდა.

აკაკი წერეთელი

92.

ვაჟა ახალგაზრდობისას სწვევია თავისი ბიძაშვილის ქმარს სოფელ სხლოვანში – ნაკვეთაურთ ჩონქარას. სიძეს ცოტა ხელმოკლე ოჯახი ჰქონია. ჩონქარას ყველი, პური, არაყი, ხაჭო, ერბო მოუტანია ცოლისძმისთვის და თან დედაკაცისთვის უთხოვია, კვერცხები მოეხარშა. სად მებადებაო? – დაუკრავს უარი დიასახლისს. ვაჟას ცოდნია ბიძაშვილი ქალის ხასიათი, თურმე წუწურაქიც იყო და თან მტყუანიც. ამდგარა, გარეთ გამოსულა. გაუვლ-გამოუვლია და საბძლის გვერდიდან გამოჩენილა ხელშიქუდგადმობრუნებული. – აი, საბძელში რამოდენა კვერცხები დავხელეო!

ჩონქარას თურმე ვაჟაზე მეტად გახარებია. ძალიან უყვარდა მოხარშული კვერცხი. – ვაიმე, რაზე დამღუპეთ, თქვენ რა გითხრათ, ე კვერცხები, ქათამ უნდა დამესვა, წიწილებ გამამეჩიკაო, – უთქვამს წუწურაქს. ვაჟამ ქუდი გადმოაბრუნა, შიგ არავითარი კვერცხი არ იდო. დაიჭირა ტყუილში ბიძაშვილი.



93.

ვაჟამ მიამბო: თიანეთიდან მოვდიოდი ცოტა შეზარხოშებული. აღდგომის დღეები იყო. მოვაქანებ ცხენს. თოფიც მხარზე მკიდია. გზაზე ღორები სძოვდნენ, მელორეც იქვე იდგა ერთი უშველებელი მუხის ქვეშ. „ქრისტე აღსდგა!“ – შევუყვირე მელორეს. მელორემ ხმა არ გამცა. „ქრისტე აღსდგა!“ – უფრო მჭექარედ შევუყვირე მელორეს. პასუხი არ იყო. მოვიმარჯვე თოფი და გავექანე მელორისაკენ. გულგახეთქილი მელორე ამოეფარა მუხას, მივაგდე ცხენი, დავუმიზნე თოფი და შევუყვირე: „ქრისტე აღსდგა!“

– ჭეშ... ჭეშმარიტად...

– ქრისტე აღსდგა!

– ჭეშ... ჭეშმარიტად...

ურბენდა საწყალი მელორე მუხას და იძახოდა: ჭეშ... ჭეშმარიტად... სამჯერ ვათქმევინე „ჭეშმარიტადო“.

ივანე ბუქურაული

94.

ერთხელ შემისვა ვაჟამ ცხენის გავაზე და მოვუსვით არაგვის ხეობისაკენ. ბულაჩაურს რომ გავცდით, ვნახეთ, ერთის ვენახის პატარა კარებიდან რაღაცამ გამოყო თავი. ამის დანახვაზე ვაჟას ცხე-

ნი დაფრთხა და კინაღამ არ გადმოგვყარა. ცხენს რაღაც ეგონა და კაცი კი აღმოჩნდა. გაჯავრებულმა ვაჟამ დეზი ჰკრა ცხენს და ზედ იმ ვენახის კარზე მიაგდო, საიდანაც გლეხი გამომძვრალიყო.

– ჰაი, შე ბრიყვო, შენაო! – დასჭყივლა ვაჟამ, – როგორ თუ შენ ცხენი დამიფრთხეო და მათრახი დაუტუნტურა.

– ე მანდ მისდიხართ, გაიარეთ მამის ჩემის ცხონებამ, – უთხრა გაჯავრებულმა არაგველმა, თორემ ხო ჰხედავ ამ ჭიგოსაო, – და მოუღირა ერთი ვეებერთელა ჭიგო.

ამ სიტყვების გამგონე ვაჟამ ერთი კი გადაიხარხარა და იმისთვის დამიზნებული მათრახი შემოჰკრა თავის ცხენს და გავსწიეთ შინისაკენ.

– ვერ უყურებ, როგორ მაგრად დამიხვდა ეს ჩვენი არაგველიო, – სიცილით მეუბნება ვაჟა. ვინც კი შემოგვხვდა ნაცნობი, ყველას უამბო ვაჟამ ეს ამბავი...

ვაჟა ნამდვილი რაინდი იყო. იმას ის არაგველი შესაჭმელად არ ეყოფოდა, მაგრამ რაკი ისიც მაგრად დაუხვდა, ვაჟამაც იმის ვაჟკაცობას პატივი სცა და ხელი აღარ ახლო.

სანდრო რაზიკაშვილი

95.

ვაჟა-ფშაველას სახელი პირველად მწყემსისაგან გავიგონე. მოსე ბეგიაშვილი, ფშავში მწყემსად ნამყოფი, გვიყვებოდა: – ფშაველების ყორუღებში ცხვარ ჩამორეკეს ქისტებმა. ჩვენმა ბიჭებმა გაურეკეს. იმათ იგრევ მაიწადინეს ძალად გადმოსვლაი. როცა ჩქამ გაიგეს – მთელი მწყემსობა მოქუჩდა. დაიწყო ერთუცის დაჯოხვაი, მემრე, საქმე საჭერზე (დახანჯვლაზე) წავიდა... სად იყო, სად არა, ჩვენი სარქალიც* გაჩნდა, თან ორი კაცი მოჰყვა. ერთი ჩალა-ცხენზე რო იჯდა, დაწინაურდა, შიგ ჩხუბში შემოვარდა, ნაბადი გადაიგდო და გადმოგვძახა:

---

* მწყემსების მეთაური.

– გაყუჩდითო, ვაჟებოო, რასა სჩადითო? – თან ცხენიდან ჩამოხდა. ამ დაძახილმა მართლაც დააყუჩა მორკინეები, ოღონდ ერთი ქისტი ჭირვეულობდა: ხანჯლით იწევდა და იგინებოდა. იმასაც უთხრა ქისტურად – დადექო, – ქისტი ოგურში არ ჩავარდა*... მაშინ ახლად მოსულმა უმალ მარცხენა ხელზე ჩოხა დაიხვია და უტაცა ხანჯალზედა. მარჯვენით კი მაჯა დაუბღუჯა, გადაუგრიხა და ხანჯალი ააცალა... მაშინ კი, ლხენა მოგეცა, იკადრა იმ ქისტმა დაყუჩებაი.

მენახირეებმა იმ ვაჟკაცის მისამართით აღტაცებული წამოძახილებით შეაწყვეტინეს მოსეს. ბოლოს ვიღაცა შეეკითხა:

– ჩხუბი რა მაგ სიტყვის პასუხი იყო? შენ ხო ი ფშაველზე გვიამბობდი?

– ჰოდა, ის ცხენოსანი ვაჟა-ფშაველა იყო, – მიუგო მოსემ... – სარქალმა გაგვაცნო... სწორე გითხრათ, ჩვენ იმისმა არწივულმა მოხტომამ იგრე მოგვინადირა, რომ სარქლის უთქმელადაც მივხვდით, უბრალო კაცსა არ ჰგავდა: ტანადი იყო, მუქწითელი ჩოხა ეცვა და ეგეთი წვერ-ულვაში ჰქონდა, – ქრისტე როა დახატული ხატათა!

სიკო ფაშალიშვილი

---

* არ დაწყნარდა.

96.

ზევით, ფშავის ხევში ჩხუბი მოხდა. ვაჟა ამ ამბავს შაესწრო. რო ტკბილი სიტყვით ვერა და ვერ გააშველა მოჩხუბრები, თითო მათრახი დაჰკრა სუყველას და მერე უთხრა: – გვეყოფ, ხო არ უნდა დავხოცოთ ერთურთი, აკი ყველა ძმები ვართო.

კიმოთე შავერდაშვილი

97.

ერთხელ ორი შეიარაღებული მოთარეშე ქისტი დავიჭირეთ. ავყარეთ იარაღი და დავატუსაღეთ. ვაჟას ქისტურ-ბაცბური ენა სცოდნოდა, მან ტყვეებისაგან გაიგო, რომ ისინი წამოსულნი იყვნენ დაზვერვაზე; ფშავის დასარბევად ემზადებოდნენ...

ვაჟას ვუთხარით:

– დავხოცოთ ეს ავაზაკები და წყალს მივცეთ!

– ასეთი რამე მეორედ აღარ გაბედო! მართალია, ეს ყაჩაღები სხვა ეროვნების ხალხია, ჩვენი დაუძინებელი მტრებია, მაგრამ მათაც ოჯახები ეყოლებათ, სახლში შვილები მიელიანო, – თქვა ვაჟამ.

ვაჟამ ისინი გაათავისუფლა. თან პატარა ქაღალდი მისცა: „გაატარეთ უიარაღოდ ორი ქისტი, სამშობლოში დასაბრუნებლად. ვაჟა-ფშაველა“. თან გააფრთხილა: – იცოდეთ, თუ მეორედ გაბედეთ ფშავის სათარეშოდ წამოსვლა, თავი მხრებზე არ შეგრჩებათო.

გახარებული ქისტები სამშობლოში დაბრუნდნენ.

ივანე გორზამაული

98.

დღე-ღამეს ასწორებდა მამაი, მე ჭრაქს უზიდავდი საქონიდან, ღამე იმას უნთებდი და ისა სწერდა. რო დასწერდა, მკითხავდა, მოგწონსო?.. ალბათ მცდიდა, როგორ ესმისო. კარგია, მამაო, რო ვეტყოდი, სახესა ნათელი გადაუვლიდა... ალბათა მცდიდა, განა მესმოდა, მაგრამა, მამა რო მიყვარდა, ვეტყოდი კარგია, მამაო, კარგიო... – ყოჩაღ, ჩემო ქალო, ყოჩაღო!.. ბეჩავი მამაი.

გულქან რაზიკაშვილი

99.

წვიმდა ჩქეფითა. მაშინ ცხრა-ათის წლისა ვიქნებოდი. ძროხაში ვიყავ... ჩამდიდოდა წკრიალასა წყალი კაბის ბოლოზედა და... გამყინა, ძლიერ გამყინა. მოვიდა უცება ცხელი მზე. გავთბი, მომშივდა კიდეცა, ერთი პატარა პურაი მქონდა, ისიც გამხმარი, დავფიქრდი: მე რო ობოლი არ ვყოფილიყავ, განა ეგრე ვიქნებოდიო. დავფიქრდი და ვთქვი:

რად გამაჩინე, უფალო,
რატომ არ მოედ წვიმადა,
ამითვისებდნენ ღრუბელნი,
თან მატარებდნენ შვილადა...

ჩემი ობლობა და მწყემსობა ემაგ ორ-სამ სიტყვაში ჩავხატე. შენა მყვანდიო, – მითხრა, – შენაო, პირველად მაშინ მაკოცა. შევნანდი მამასა და იმითა.

მამამ მითხრა, რო ეგაო ძალიან გენიოსური სიტყვაა, შენაო, გოგოო, ჩემზე მეტი ნიჭი გქონიაო. დაწერე, როცა რა მოგაგონდეს ესეთი, ქვებზე და მოიტანე, ჩავწეროო.

გულქან რაზიკაშვილი

100.

ფშაურად უნდა ეცვას ჩემ შვილსაო, თუ გინდა ხემწიფის შვილმა წაიყვანოსო, – იტყოდა მამაი.

გულქან რაზიკაშვილი

101.

ერთხელაც ძროხები მოვკარგე და საძებნელად წავე, კარგა დაბნელებულია. მოვე და ჭრაქის შუქი გამოდის ჩვენითა. შავიხედე ფანჯრიდანა და ხინკლაობენ. მამაი უკვე ლოგინში წევს. შევძახე ფანჯრიდანა ჯალაბთა: – რასა ხინკლაობთ, ძროხები მოიკარგნენ, გამოდით დასაძებნადო! გადმოიხედა მამამ ფანჯრისკე: – გოგო, ამ ბნელ ღამეს რას დაბლატუნობ, არ მაინც გეშინიან, ნადირი დაგბღლეძს, შემო ჩქარა შინაო!



სითამამემ მაჯობა და მამას დაუძახე, მამასა რო: – შენ დაგეთხაროს თვალები, რო მანდა სწევხარ და ძროხები არ გებრალებიან, შენ დაგეთხაროს თვალებიო! – მეო?! – მამამა, რო გადაიგდო საბანი და წამოენთო, წამოფრინდა, აი, იასამანი რო დგა ძველი სახლის წინა, ვარდი იყო, ველური ვარდი... იმის ძირი გამოფუტკული* იყო ქათმებისა და იმ გამოფუტკულს ვეცი. გადაიარა გაფოთებულმა მამამა. ჭიჭახევასკენ გადეეფარა** თეთრი საცვლების ფრიალითა... შევედი და შევძვერ ტახტის ქვეშა.

ბეჩავი მამა! შამააღო კარები და მარიამს უთხრა, რო ის ალქაჯი არ მოსულაო?! მიძგრიალებს გული. დაიწყო მარიამმა ჯუმჯუმი, სიტყვებს ვერ აგებს... ტახტის ქვეშით ვიზვერები: ღიმილი ეშლება მამას სახეზედა მარიამის ჯუმჯუმზედა, ვერ გააგებინა მარიამმა, მოვე თუ არ მოვსულვარ. გაიხურა მამამა კარები... აღარაფერი არ მითხრა მეორე დღეს მამამა, მე კი ნიავსავით დავდიოდი იმის სიახლოვესა.

აიო, ჩვენ რო გვეთქვა, თოფით დაგვხოცდაო. ამას არა უთხრაო, ნეტავ რას თვალზე გხედავს მამაშენი, შე შავბნელოო, – ი დედაკაცმა***.

გულქან რაზიკაშვილი

---

* გამოქექილი.

** მიაშურა.

*** იგულისხმება დედინაცვალი.

102.

ერთხელ შემოდგომაზე ვაჟამ რედაქციაში მოიყვანა თავისი შვილი, გამხდარი, ლამაზი ბიჭი, რომელიც თბილისში ჰყავდა სასწავლებელში.

– ძალიან ბიჭია, – თქვა მან სიყვარულით. – ამაზე მეტად აღარავინ მიყვარს ქვეყანაზე, ჩემს ძმასთან ცხოვრობს, სანდროსთან... სანდროს ხომ იცნობ,

ჩვენში ყველაზე უმცროსია, ტელეგრაფისტია, ფოსტაში მსახურობს...

– როგორ, – გამიკვირდა მე, – თქვენ, ძმები, ყველა პოეტები ხართ, დედაც პოეტი გყოლიათ, როგორც ამბობდა უმცროსი ძმა, სანდრო რატომ არის ტელეგრაფისტი?

ვაჟამ ოდნავ ამოიოხრა და ნელა წარმოთქვა:

– მე და ჩემმა ღმერთმა, პოეტობას ტელეგრაფისტობა სჯობია. ჩვენ თუ პოეტები ვართ, რა ოქროს ჯიღა გვადგია თავზე? ამ ჩემ ბიჭსაც ვეუბნები, არ გაბედო ლექსების წერა-მეთქი.

– და არ წერს?

– მადლობა ღმერთს, არ წერს და სწორედ ამიტომაც კაი ბიჭობაში ბადალი არ ჰყავს!

ყმაწვილი ნელა იცინოდა. მისი ღიმილი მამას მოგაგონებდათ, მაგრამ მამაზე უფრო ლამაზი და ნაზი იყო. და როდესაც ვიგონებ ყოველთვის წარმომიდგება თვალწინ, როგორ იჯდა სკამზე რედაქციის დიდ მაგიდასთან შავთვალწარბა, ლამაზი, გამხდარი ბიჭი, თავზე გიმნაზიელის ქუდით, ოდნავ თავდახრილი და როგორი სიყვარულით და სიხარულით შესცქეროდა მას მისი ჩოხიანი დიდი პოეტი-მამა და როგორ ნატრობდა, რომ ეს საყვარელი შვილი პოეტი არ გამოსულიყო!

ნინო ნაკაშიძე



დგანან: იოსებ მთვარელიძე – ლევანის ცოლისძმა, ლევან რაზიკაშვილი, მიხეილ რაზიკაშვილი – ვაჟა-ფშაველას დისშვილი. *სხედან (მარცხნიდან):* თამარ მთვარელიძე – ლევანის მეუღლე, ლუკა რაზიკაშვილი – ვაჟა-ფშაველას შვილიშვილი, თამარ რაზიკაშვილი-ბენუკელი – ვაჟას ქალიშვილი.

103.

ერთხელ მე და ვაჟა თიანეთში მივდიოდით. გზაზე სოფელ ვარცლასთან შევჩერდით და სოკოს დავუწყეთ კრეფა. სოკოს ძებნაში ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. შემდეგ ვაჟა შინდის ძირში ვნახე დამჯდარი, დაბეჯითებით რაღაცას ლაპარაკობდა. როდესაც შეჩერდა, მივედი და ვუთხარი: – რა იყო, რა დაგემართა, ვის ელაპარაკებოდი? – ვიღაცას ვეკამათებოდი, ვებაასებოდიო, – მიპასუხა მან, – ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია, ყველას ენა აქვს, თითოეული ერთმანეთის მახლობელიაო.

დავით კობიაშვილი

104.

ვაჟამ მითხრა, – მოდი, ზენა სოფელში ავიაროთ, ჩემ ნათლიმამას დავეხმაურები, იქნებ წამოვიდეს, კარგი ნადირობა იცისო. ნათლიმამა შინ არ დაგვხვდა. ვაჟას ძახილზე ქოხიდან გამოვიდა ფეხშიშველი გოგო, ასე 15-16 წლის იქნებოდა, – ეს ვაჟას ნათლული იამზე იყო, ძალიან ლამაზი გოგო,

მართლაც, მწვანე ბალახზე მოსეირნე კაკაბს ჰგავდა. ვაჟა ნათლულს გამოელაპარაკა: – მამაშენი სად არისო. შემდეგ შემატყო, რომ გოგო მომენონა და მომიბრუნდა: – კარგი ნათლული მყავს, არაო?! თან უბიდან ძველი რვეული და ფანქარი ამოიღო, ჯირკვზე ჩამოჯდა, მე მეორე ჯირკვზე მიმითითა, – დაჯექი, ვასო, ცოტა მუხლი შევასვენოთო. ვაჟამ მუხლის შესვენება მოიმიზეზა, მაგრამ სინამდვილეში ნათლულმა ლექსის მუზა მოჰგვარა... რვეული მუხლზე დაიდო, ერთხანს წერა, შემდეგ წამოდგა, რვეული გამომიწოდა და მითხრა: აჰა, ნახე, ჩემ ნათლულს როგორი ლექსი დავუწერეო. მე ხმამაღლა წავიკითხე:

ქალო, გნახე ფეხშიშველი
გამოჰგოგდი ეზოშია.
გენაცვალე, კაკაბს ჰგავდი
მოსეირნეს ფერდობშია.
ვისი ძუძუ გიწოვია,
იისა თუ ვარდისაო?
გენაცვალე, შავ თვალ-წარბავ,
გულო ჩემის დარდისაო...

გოგო მიხვდა, რომ ლექსი მასზედ იყო დაწერილი, დარცხვენილი შეტრიალდა, ქოხში შევარდა, კარები ჯერ მოხურა, შემდეგ ოდნავ გამოაღო და შექებით ნასიამოვნები ღიმილით გვათვალიერებდა.

ვასილ გოგოლაძე

105.

ერთი ახალგაზრდა მიცვალებულის სულის ასახსნელად ყაბახობა (ნიშანში სროლა) იყო გამართული. კარგა მოშორებით, ერთ დიდ ქვაზე დაყუდებული პურის კვერი ნიშნად ითვლებოდა. ფშაველების

თქმით, ვინც ნიშანში მოარტყამდა, ის გაანთავისუფლებდა მიცვალებულის სულს ეშმაკის ტყვეობისაგან, სამაგიეროდ, იგი საჩუქრად გარდაცვალებულის შეკაზმულ ცხენს მიიღებდა.

ახალგაზრდობა ოფლს იწურავდა, მიზანში კი ვერავინ არტყამდა. უცებ, მიცვალებულის გამწარებული დედა ვაჟასკენ წამოვიდა და შორიდანვე შეემუდარა: „ლუკაო, შენი კვნესამე, ჩემ ზაქარას სული ვერ აუხსნეს, შვილი მელუპება, მიშველე, შენი კვნესამე!"

ვაჟა არც წამომდგარა. ერთი შეხედა მტირალ ქალს და მეორე მხარეს გადაბრუნდა, აიღო თავის „ბერდანა" და მწოლიარემ დაუმიზნა კვერს... თოფის გავარდნა და კვერის გადმოვარდნა ერთი იყო. ყველა აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ თვითონ ვაჟამ, ვითომ არაფერიო, განაგრძო ლუდის სმა, ცხენის მიღებაზე კი უარი განაცხადა.

ლაპარაკში გართულს ერთი მთვრალი ფშაველი წამოადგა და დამტვრეული რუსულით თამბაქო სთხოვა. ვაჟამ ყურადღება არ მიაქცია. ფშაველმა თხოვნა გაუმეორა. ვიდრე ქართულად არა მთხოვ, არ მოგცემო, – უთხრა ვაჟამ და მხოლოდ მაშინ მიაწოდა თამბაქო, როცა ფშაველმა ქართულად გაუმეორა თხოვნა.

დ. მაღალაშვილი

106.

ერთხელ გზად ჩამოვიარე ვაჟას სახლთან, თორმეტ-ცამეტი წლისა თუ ვიქნებოდი მაშინ, ეზოში ვაჟა ლასტს ქსოვდა.

– გამარჯობა ბიძა-მეთქი! – შევუძახე. ლუკამ თავი ასწია. მიცნო და დამიძახა.

– აბა, ძმისწულო, აქეთ გადმოდი, წნელი მომიჭერი, საცაა ზამთარი კარზე მომადგება, მე კი გომურისათვის კარები ჯერაც არ გამიკეთებია, მოდი, დამეხმარეო.

ღობეზე გადავხტი. სწრაფად მასთან გავჩნდი.

ლუკამ მომიწონა სიმარდე. თავზე ხელი გადამისვა. ხმალი გამომიწოდა და მითხრა:

– აი, ამით მოსჭერიო!

– ბიძაჩემო, ამით როგორ მოვჭრი, ხმალი წელშია გადატეხილი-მეთქი, – ვუთხარი მე.

ლუკამ გაიცინა. თვალებში ჩამაცქერდა: – ეგ ხმალი სამშობლოს იცავდა. მაგ წელში გადაწყვეტილმა და გადაქანცულმა ხმალმა თავისი ვალი მოიხადა. შრომასა და ჯაფას წელში გაუტეხია. ახლა მაგისი ნახევარი შეგვრჩა და მაგის პატივისცემა გვმართებსო...

ჩამაფიქრეს ვაჟას სიტყვებმა. ორი დღის შემდეგ, როცა მასთან სახლში მივედი, შესანიშნავი ლექსი წამიკითხა – „დაჟანგებულხარ, გორდაო“, რომელიც ჩემთან ლაპარაკის შემდეგ დაუწერია.

მიხა მთიბელაშვილი

107.

ჩვენი მეზობელი, ბუკუკიანთ ბერის მჭედელას მამა, მთვრალი ჩვენს კალოზე ჩამოსულა და ყვირის: ეჰეთ... ვცოფდებიო.

ავიდა ლუკა, ნელ-ნელა მიუახლოვდა ამ კაცს.

– რა არის, რა მოგივიდა? რა გაყვირებს!

– ვცოფდები, ბიძაის კაცო! – იმეორებდა ბუკუკის შვილი.

– შენ თუ სცოფდები, მე კიდე ვიჟდებიო! – შესძახა ლუკამ, გაუშალა სილა და შიგ ყურის ძირში სთხლიშა. ბუკუკიშვილი გადაიქცა. ჩვენ შევშინდით, ხომ არ მოკვდაო, რადგან ხმას აღარ იღებდა, არც იძვროდა. მე შორიდან ვუთვალთვალებდი. კარგა ხანი რო გავიდა, ეს კაცი მოსულიერდა, წამოჯდა, გაიხედ-გამოიხედა, მერე ერთბაშად წამოხტა და მოჰკურცხლა შინისაკენ.

თამარ დიდებაშვილი

108.

ქალაქიდან მომავალ ლუკას გზაზე ბავშვები შემოეხვეოდნენ ხოლმე. იცოდნენ მისი ჩვეულება: გახსნიდა ხურჯინს და მთელ მუჭა კანფეტს ბავშვებს დაუყრიდა.

ერთხელ სახლში მომავალ ლუკას ბესო შანიძესთან შეუხვევია (მედუქნე იყო), მაგიდაზე კანფეტები შეუმჩნევია, ამდგარა და ეზოში თავმოყრილი ბავშვებისათვის გადაუყრია. ამის შემდეგ შანიძე, მომავალ ლუკას რომ დაინახავდა, კანფეტებს დამალავდა ხოლმე:

– არიქა, მოდის ფშაველი დევი, კანფეტები დამალეთო.

თამარ დიდებაშვილი



109.

ერთხელ, ნადირობის დროს, ვაჟამ მიზანში ამოიღო ჯიხვი, მაგრამ ვხედავ, დგას და არ ესვრის: ვაჟა ისე მოეხიბლა ჯიხვს თავისი სილამაზით, რომ დავიწყებოდა თოფის სროლა.

– რა ჰქენი, რატომ დააცდინე-მეთქი! – შევუძახე ვაჟას.

– შემეცოდა, – დინჯად მითხრა ლუკამ და დამიზნებული თოფი ძირს დაუშვა.

ბეკურ ბაჩიაშვილი

110.

რუსი მეცნიერი საქართველოს ისტორიის შესასწავლად ჩამოსულიყო და ფშაველი ტიპების სურათებს იღებდა. ამ დროს ჩვენს მახლობლად ფშაველმა ქალმა, ვაჟას მეზობელმა, შაკერემ ჩამოიარა. ვაჟა წამოდგა და მეზობელ ქალს დაუძახა:

– არ გაბედო ადგილიდან დაძვრა, გაჩერდიო.

რუსმა მეცნიერმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა. ვაჟამ ამ დროს თავის ცოლსაც დაუძახა:

– მთიულო (ასე ეძახდა ცოლს), აბა, შენ მაგ ქალის გვერდით გაჩერდი.

რუსმა მეცნიერმა სწრაფად ორივე გადაიღო.

გახარებულმა შაკერემ ვაჟასთან მიირბინა:

– რა მიხარია, ჩემი სურათიც პეტერბურგში წავაო.

– რა გიხარია, შე უბედურო, ეგ შენი ჯღანებიც შიგ გამოვაო! – უთხრა ხუმრობით ვაჟამ.

მიხა მთიბელაშვილი

111.

პანკისში ვიყავი მასწავლებლად... თელავში მომიხდა ყოფნა და უკან ვბრუნდებოდი. გზად ახმეტაზე გავიარე. უცებ ვიღაცის ძახილი შემომესმა:

– ნიკო, ნიკო, „ნარკანო"!

დუქნის აივანზე ვაჟა და ორიც სხვა მაგიდას შემოსხდომოდნენ... მიმიპატიჟა ვაჟამ. ცხენი დერეფნის დირეზე მივაბი და მაგიდას შემოვუსხედით.

დახლზე სველი ხელადა და ჭიქები გამწკივრდა; დახლიდარმა ყველის ნაჭერი და პურის ნატეხი გადმოდო. „დალიე, დამალევინე, ეგ ღვინო ოხერტიალი, ეგების წაღმა ვიფიქრო ქვეყნის უკუღმა ტრიალი", ჩაილაპრაკა ვაჟამ და ჭიქა ასწია. შესაჯახებლად მივაგებე ჭიქა, მაგრამ ვაჟამ ჩემს ჭიქას გამოშვერილი ნეკი მიაგება.

– არ მიყვარს უცხოური ჩვეულება.

– მგონი, გერმანული უნდა იყოს, „შტრინგ".

– ქართული მაინც არ არის... ასე, ძმისწულო, დღეს ერთი ზნე შემოგვეჩვევა, ხვალ მეორე და ბოლოს ქართული იერი დაიკარგება. ყველა თავისებური გარეგნობისაა, თავისებური იერისა, ჩაცმულობისა, ხასიათისა და ზნე-ჩვეულებისააო.

ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი)

112.

მამაჩემი ბევრ საინტერესო ამბებს მიყვებოდა ფშაველების ყოფა-ცხოვრებიდან, ვაჟას შესახებაც იცოდა ზოგიერთი რამ. იგი იგონებდა:

„ჩემს ჯეელობაში კახეთში ვიყავი. შილდის ტყეში ჩემს მოგვარეს, პატარიკა ბულალაურს ვედექი მოჯამაგირედ, მის ნახირს ვწყემსავდი. პატარიკა უდარდელი კაცი იყო, ბევრად არას ყურს მიგდებ-

და. ხშირად დაგლეჯილი ტანსაცმლით დავდიოდი. ერთ დღეს საქონელს რომ ვედექი, გზად ცხენით მიმავალი კაცი დავინახე.

– გამარჯობა, ბალღო! – მომმართა მოხუცმა.

– გაგიმარჯოს, – მივეცი პასუხი.

– ვისია ეს ნახირი, ვისი მწყემსი ხარ?

– კანატიელი ბატარიკასი გახლავს, ბატონო.

– შენ ვისი შვილი ხარ?

– მე ბატარიკას ბიძაშვილი ვარ.

– ვიცი, ვიცი, აი, საწყალი თვარელა რომ არის.

– დიახ, ბატონო!

– ბატარიკასაც კარგად ვიცნობ, ჩემი ძმობილი კაცია.

ის კარგა ხანს მესაუბრა, შემდეგ ჩამოხტა ცხენიდან და მითხრა: – მე ვაჟა-ფშაველა ვარ და შინ რომ მიხვალ, ჩემი სახელით ბატარიკას გადაეცი, კარგი ტანსაცმელი და ქალამნები ჩაგაცვას, თორემ მეორედ ასე რომ გნახო, ჩემი და შენი ძმობა გაიყრება-თქო.

ვაჟამ ხურჯინიდან თონის პური, თევზი ამოიღო და მომცა, თან ერთი ვერცხლის მანეთიანიც მაჩუქა".

113.

ვაჟას მოწადინებითა და რჩევით ფშაველები საცხოვრებლად მთიდან შირაქში ჩამოსახლდნენ, მაგრამ თუშები იყვნენ უარზე: შირაქი საძოვრებად გვინდა, ფშაველებს საცხოვრებლად ვერ დავუთმობთო. იმათი ხელმძღვანელი იყო ცისკარიშვილი, ფშაველებისა – ვაჟა.

ავდრიანი დღე რამ იყო. ვაჟას ნაბადი ეხვია და ისე ელაპარაკებოდა თუშების წინამძღვარს. თუში დიდ უარზე იდგა. მაშინ კი გადაიგდო ნაბადი ვაჟამ და ერთი სილა გაჰკრა. თუში იქვე წაიქცა. როდის-როდის ძლივს წამოდგა და თქვა: – მე არაფერი მაქვსო ფშაველებთან სადავო.

კიმოთე შავერდაშვილი

114.

1907 წლის შემდეგ ჩაღმა და წოვა თუშებს შორის გაიმართა დავა საძოვარი მიწების თაობაზე. ვითარება მეტად გამწვავდა. თუშებს შორის შუამავლობას ალექსი მათურელი ეწეოდა, რომელმაც გადაწყვიტა ქართველი ინტელიგენცია ჩაერთო ამ კონფლიქტის მოგვარებაში. ვაჟასთვის მას უთხოვია, შეექმნა ნაწარმოები, რომელშიც თუშთა ძმობა იქნებოდა ასახული. ვაჟას ეს წინადადება მიუღია და დაუწერია პოემა, რომელსაც „ჩაღმა-წოვა" რქმევია.

პოემის შინაარსი, მათურელის გადმოცემით, დაახლოებით ასეთი ყოფილა: თუშები მტერმა დაამარცხა. მტრის ლახვარს გადარჩენილი თუშის მანდილოსანი ძუძუმწოვარა ბავშვით მიილტვის მთის გზით, რომ თავშესაფარი გამონახოს. გადადის მთას და ჩაღმა (მთის ჩაღმა) დაეშვება. რომ მტერმა გეზი არ მოუკლიოს, გზას იქცევს და მოქანცული კლდოვან ალაგას შეეფარება. ცოტახნის შემდეგ იმავ მიმართულებით შეამჩნევს მოძრავ არსებას, მომავალს. იგი აღმოჩნდება თუშის მეორე მანდილოსანი, ხელში ძუძუმწოვარა ბავშვით. პირველი გამოეხმაურება – შეხვდებიან ერთმანეთს და გამოემცნაურებიან. შემდეგ მეორე მანდილოსანი უამბობს პირველს, რომ მან მთის გადმოღმა თავქვე დიდი დაბრკოლებით ჩამოიარა, რადგანაც ბავშვი უტიროდა და ამიტომ ძუძუსწოვით უხდებოდა დაღმართის ჩამოთავება. ხსნის იმედი მხოლოდ

მაშინ მიეცა, როდესაც წინ მიმავალი მანდილოსანი შენიშნა. ერთმანეთის ნუგეშის მიცემის შემდეგ ორივე მანდილოსანი ალაზნის დასაწყისში დასახლდა. წამოეზარდათ ერთს ბიჭი, მეორეს – ქალი, რომელთა ჩამომავლობიდან წარმოიშვა ორი მოდგმა, „ჩალმა“ და „წოვა“. სოფლებიც ორი მიმართულებით გაშენდა, „წოვა“ და „ჩალმა“. ორივე მოდგმა, ერთი ოჯახიდან წარმოშობილნი ძმები, მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდნენ.

ეს პოემა ავტორს დამთავრებული ჰქონია 1913 წელს. ერთხელ სოფელ თიანეთში, თუშების თანდასწრებით ვაჟას წაეკითხა ის და მსმენელებზე ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, რომ ცრემლებს ღვრიდნენ თურმე.

ალექსი მათურელს განზრახვა ჰქონია ეს პოემა წიგნად გამოეცა, მაგრამ პოემას საშინელი ხიფათი შემთხვევია, შირაქიდან მომავალ ვაჟას, ახშის ჭალაში (თიანეთ-ჩარგლისკენ) დაკარგვია ჩანთა, რომელშიაც, გარდა აღნიშნული პოემისა, სხვა მისი ჩანაწერებიც ჰქონოდა. ბევრი ეძებეს თურმე ეს პოემა, როგორც ვაჟამ, ისე დაინტერესებულმა პირებმაც, მაგრამ ვეღარ მიაკვლიეს. არც შავი დარჩენოდა ავტორს, რომ ხელახლად აღედგინა.

ერთხელ ლ. ძიძიგური ამ პოემის შესახებ შეკითხებია ვაჟას, „თუ შეიძლება მისი აღდგენაო“, რაზედაც ვაჟას ნაღვლიანად უპასუხნია: „ერთხელ ნაშობი, მეორედ არ იშობაო“.

სოლომონ ყუბანეიშვილის მიხედვით

115.

ლუკას ფასი ფშაველმა მამაკაცებმა უფრო იცოდნენ, ვიდრე დედაკაცებმა. ლუკას ეჯავრებოდა ყბედი, მეჭორე, უწესო დედაკაცები. ზოგიერთ მათგანს კი დიდ პატივსა სცემდა. მაგალითად, მეცხვარე გარსევანიშვილის მეუღლეს – ნათელას, რომელსაც სოფელში „ბეროთ ნათელას" ეძახდნენ. ამ ნათელაზე ლუკა იტყოდა ხოლმე: ეს დედაკაცი ნამდვილად პოეტიაო. როდესაც მკვდარს ტირის, პოეტურად ამოთქვამს სიტყვებსაო.

თამარ დიდებაშვილი

116.

ფშავის ხევში ერთი თავხევისბერია. ადგილსამყოფელი ლაშარში აქვს. თავხევისბერი პირველი კაცია და მას ემორჩილება ყველა თემის ხევისბერი.

მოხდა მოულოდნელი ამბავი: ლაშარჯვრის თავხევისბერმა, ღრმად მოხუცმა კაცმა, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი წონა და გავლენა ჰქონდა, შეაჟღარუნა ლაშარის საბრძოლო დროშა და წარმოსთქვა ლოცვა. დასასრულ, შეღაღადა მეუფეს, თითქოს ცოდვებს ინანიებსო და განაცხადა: ხალხო, ჯამაათო, დრო აირია, ხალხს, მამულს, განძსა და დროშას პატრონი სჭირდება. დავუძლურდი, სიცოცხლეს ცოცხალი ადამიანი ალამაზებს. ნახევარ საუკუნეზე მეტი ვემსახურე ლაშარსა და ქვეყანასო. აქ თავხევისბერმა აპრიალებული კელაპტარი მაღლა ასწია, თავსზემოთ წრე შემოხაზა, ლაშარის დროშას შეახო და წამოიძახა: – ამიერიდან თავხევისბერობა – სათემო საბჭოს თავმჯდომარეობა – ღირსეულ ქართველს, ლუკა რაზიკაშვილს დაეკისრაო. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ კი – ამიიინო – დაიგუგუნა ხალხმა და თავკაცის შეგონებას მუხლზე დაჩოქებით უპასუხა.

ვაჟა-ფშაველა ამას არ მოელოდა, მართალია, იგი დიდი გავლენით სარგებლობდა ლაშარშიც, მაგრამ თუ „საბჭეო სკამზე" დაჯდებოდა, იმას კი არასოდეს არ მოიფიქრებდა. ვაჟა ერთხანს გაოგნე-

ბული იდგა საკურთხეველთან და ღრმად ჩაფიქრებულიყო.

– გისმინოს წმინდა ლაშარის ჯვარმა, – კვლავ გუგუნებდა ლაშარის ხეობა.

შეიქმნა ჩოჩქოლი, გადაძახ-გადმოძახება. ვაჟა გონს მაშინ მოვიდა, როცა გარს შემოეხვია თორმეტი თემის ხევისბერი და „საბჭეო სკამზე“ ასვლა შესთავაზა. ვაჟამ უკან დაიხია, იცოდა, რომ ამას თავისი წესი ჰქონდა. თუმცა მას ხელმხარი განათლული ჰქონდა,* მაგრამ ხევისბერობას კი არასოდეს არ აპირებდა.

სახარბაკედან** ცხრა სამსხვერპლო, რვა ვერძი და ერთი კურატი გამოიყვანეს. თავხევისბერი, მომავალი ბელადი, განსაკუთრებულად ადიდეს, დაამწყალობეს ჩოხოსანი რაინდი. ლაშარის „საბჭეო სკამზე“ დასვეს და სათემო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

მგოსანმა საზოგადოების პატივისცემა თავისი კაცურ-კაცური საქციელით დაიმსახურა.

ხვთისო ბუკუკიშვილი

---

* ხევისბრად კურთხევის რიტუალს ეწოდება ხელ-მხარის განათვლა. მისი არსი შემდეგი იყო: დაკლავდნენ ამ რიტუალისთვის განკუთვნილ საკლავს და ხევისბრად არჩეულ პირს უსვამდნენ საკლავის სისხლს ხელებზე, შუბლსა და მხრებზე.

** ადგილი, სადაც ათავსებდნენ ხატისათვის შენირულ ხარ-კურატებს.



117.

ერთხელ ვიღაც ეგზოტიკის მოყვარულმა გაზეთში დაწერა – ვაჟას მთიდან ლექსები ხურჯინით ჩამოჰქონდაო; ერთმა ქართველმა მხატვარმა ფერებით ნაწერი დიდი სურათიც კი გამოფინა, რომელზედაც

წარმოდგენილი იყო ვაჟა-ფშაველა „ივერიის“ რედაქციაში: საწერ მაგიდასთან ზის ილია ჭავჭავაძე, ხოლო მაგიდის აქეთა მხარეს, ვაჟას მხრებიდან მოუხდია სავსე ჭრელი ხურჯინი, იქიდან იღებს დაწერილ ლექსებს და ილიას ანვდის. გამოდის, რომ ამ სურათის მიხედვით ჩვენმა ახალგაზრდობამ ვაჟა უნდა წარმოიდგინოს როგორც უბირი სოფლელი კაცი, რომელსაც შეეძლო ზურგით შეეტანა რედაქციაში საპალნე, ხურჯინი იატაკზე დაედო და ილიასთვის ეთქვა: „აირჩიე, რომელიც მოგწონსო“.

ვინც ვაჟას ახლო იცნობდა, ვინც იცის, თუ რა მაღალი ტაქტის, რა სათუთი გულის, რა კულტურის მქონე ადამიანი იყო, არ შეიძლება ასეთი რამ ჩვენი მწერლისათვის უხერხულად არ მიიჩნიოს. ვაჟა თავმოყვარე და ამაყი კაცი იყო, როგორც იტყვიან, – „ბუზს არ დაისვამდა“. მართალია, ღარიბულად ეცვა, მაგრამ მუდამ ისე სალუქად* გამოვიდოდა, ისე დაილაპარაკებდა, რომ მოწიწებას შთაგინერგავდათ. დიდ ქალაქში გაელისას, დიდ დაწესებულებაში შესვლისას ზედმეტ ამანათს არ დაიჭერდა ხელში. განა წარმოსადგენია, ასეთი ადამიანი რედაქციაში ხურჯინით შესულიყო?

სიკო ფაშალიშვილი

---

* კოხტად, ფაქიზად.

118.

1905 წელს საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა არჩილ ჯორჯაძე. არჩილი ემალებოდა მეფის ადმინისტრაციას და ამხანაგებმა გადაწყვიტეს ჩვენთან მოეყვანათ იგი... ერთი ოთახი მივუჩინეთ ავადმყოფს და არავის არ ვუშვებდით მასთან, გარდა ძალიან ახლო ამხანაგებისა...

ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა ვაჟა-ფშაველა. ძალიან გამაკვირვა და გამახარა მისმა მოსვლამ...

– არჩილის ნახვა მინდა, – მითხრა მოკლედ.

მე გავშრი მოულოდნელობისაგან, როგორ? საიდან გაიგო?..

– ნუ გეშინიათ, გიორგიმ (ლასხიშვილი) მითხრა მისი ჩამოსვლის ამბავი...

– ცოტა დაიცადეთ, – ვუთხარი და არჩილის ოთახში შევედი.

– არჩილ, ვაჟა-ფშაველა მოვიდა შენს სანახავად... გაუგია შენი ჩამოსვლა...

– ვაჟა-ფშაველა? – შესძახა მან და მისმა ჩაცვინულმა შავმა თვალებმა სიხარულით გაიელვეს, – მობრძანდეს, მობრძანდეს, – თქვა მან სიხარულით.

შევიყვანე ვაჟა. არ ვიცი, მანამდის იცნობდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა, მაგრამ ისე შეხვდნენ, როგორც ძალიან მოსიყვარულე უფროს-უმცროსი ძმები. არჩილი წამოიწია, ვაჟა დაიხარა, ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. როდესაც ვაჟა წელში გაიმართა, ორივეს ცრემლები ადგათ თვალებზე.

პირველად ვაჟა გამოერკვა:

– დაბრუნდი, არჩილ, სამშობლოში?

– აი, ხედავ, როგორ დავბრუნდი... მაგრამ, ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი აქ მოსვლით, დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „ალუდა ქეთელაურს“... შედევრებია, შედევრები... საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არ ჰყავთ... თქვენი უფრო მეტი დაფასება მომავალს ეკუთვნის.

ნინო ნაკაშიძე



ნიკო ნიკოლაძე და ვაჟა-ფშაველა ქართველ საზოგადოებასთან ერთად

119.

1908 წელი... ახლად დაბრუნებული ვიყავ საზღვარგარეთიდან. ერთ საღამოს „ნიშადურის" რედაქციაში შევიარე ვალერიან გუნიასთან...

ებაასობდით. რედაქციაში არავინ იყო. არ გასულა დიდი ხანი, ერთი ჩოხოსანი შემოვიდა. „აა, ვაჟა!“ – შეეფრქვია ვალერიანი. გამაცნო, ჩემი თავიც გააცნო. ვაჟას სახელი, რასაკვირველია, ხშირად გამეგონა, ხოლო მისი პოეტური ნაქმითგან ორიოდე შაირი თუ მქონდა წაკითხული... შემოსვლისთანავე მისსა ირგვლივ რაღაც უცხოური ატმოსფერო განიფინა... ემუსაიფობდით, შევექცეოდი, ვაკვირდებოდი ვაჟას, ვატყობდი უნდა ყოფილიყო: თვითკმარი, ურყევი, შინაგან ამაყი, შემმართებელი. თანაც – გულახდილი და გულმართალი.

საუბარმა ერთ ხტილში ფილოსოფიური ხასიათი მიიღო, ალბათ ჩემგან. ვაჟა გამომყვა. ხოლო ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ერთ ხვეულში მოსაზრებისა ჰეგელის „ლოგიკა“ იმოწმა. კამათს სიცხარე დაეტყო. „წავლაპარაკდით“ კიდეც... „აწეული ტონი“, ლბილად რომ ვთქვათ, მეუცხოვა. შესაძლოა მეც „ავამაღლე“ ტონი და ვერ შევამჩნიე ეს. ალბათ ჩემს სახეზე სიკუშტემ ირიბულად გაიელვა. ვალერიანისთვის ეთქვა შემდგომ ვაჟას: ბოდიში მომხადე იმ ყმაწვილთან, მგონი ვაწყენინე, ცოტა ნაღვინები ვიყავიო. უნდა აღვიარო: „წყენას“ – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – ჩემში მაშინ ადგილი არ ჰქონია.

გრიგოლ რობაქიძე

120.

„დროების“ რედაქციაში ვნახე ის პირველად... ფრანგულ ჟურნალს „ილუსტრასიონს“ ფურცლავდა. უცაბედი გაკვირვებით დაარღვია პაუზა:

– ჰა, ბლერიო კიდევ გაფრენილაო? აბა, შაქრო, ერთი შენებურად ჩამიბულბულე! – მიმართა მან

იმ დროს კარგად ცნობილ მთარგმნელს, შაქრო ბილანიშვილს. ფრანგი კონსტრუქტორი ბლერიო მაშინ აუმჯობესებდა საფრენ მანქანას და ცდებს ატარებდა.

შაქრომ გადაუთარგმნა.

– ბარაქალა, ბიჭო! მაშ, ფრთები მოდიან. ლეონარდო და-ვინჩი იძახდა – ფრთები იქნებიანო, მითოლოგიური იკარო და დედალოსიც იკეთებდნენ ფრთებს. მაგრამ ეს მითოლოგია აღარ არი, ფრთები მოდიან! ჰაი თუ გადაუფრენენ ჩვენს მთებსა, მაშინ, მშვიდობით, ჩემო არწივებო!

– რატომ მაინცდამაინც, არწივებო? – ღიმილით შეეკითხა კიტა აბაშიძე...

– ისე, მებრალვიან, სილაღეში შემცილე რო უჩნდებათ!

– მაშ, ძირს ტექნიკა?

– არა, რადა ძირს! პირიქით, ახლა ტექნიკაშია საქმე: წინათ ხმალი და ხარი იყო, ეხლა ტექნიკის დრო მოდის.

– ეგ ხომ არწივების აზრი აღარ არის?

– რა ვუყოთ, არწივების აზრს გული გამოსთქვამს, ეს კი გონების აზრია.

სიკო ფაშალიშვილი

121.

ერთ საღამოს ვაჟა შემოვიდა ჩვენთან. ნაბადი მოიხადა და მხიარულად უთხრა ილიკოს (ნაკაშიძე):

– ილიკო, შენთან მოვედი, ჩემი „გველის მჭამელის“ შესახებ მინდა მოგელაპარაკო... შენი აზრიც მინდა გავიგო.

დიდხანს ილაპარაკეს ამის შესახებ. მე არ ვლებულობდი მონაწილეობას და მხოლოდ როდესაც

მეორე ოთახიდან გამოვედი მათთან, ვაჟა ელაპარაკებოდა:

– ილიკო, შენ ხევისბერად ასარჩევი კაცი ხარ, მაგრამ ხევისბერი ჯვრით და ხმლით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ, შენ კი მარტო ჯვარი გიჭირავს ხელში... მაგრამ არ ვიცი, მტერი რომ მოგადგეს კარზე, რას იზამ, მოიშველიებ ხმალს თუ არა?

– ბატონო ვაჟა, – ვუთხარი მე, – თქვენ კი უთუოდ ხმლით გამოხვალთ მტრის წინააღმდეგ. ჩვენ გვითხრა ერთ კრებაზე პედაგოგმა თ. კიკვაძემ, რომ 1905 წელს, ნასაკირალის შეტაკების შემდეგ, თქვენ გდომებიათ გურიაში დამსჯელი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად 200 შეიარაღებული ხევსურის ჩამოყვანა.

– მე და ჩემმა ღმერთმა. ჩამოვიდოდით კიდევაც და ვიბრძოლებდით კიდევაც. მაშინ ილია ჭავჭავაძეც აპირებდა წამოსვლას. იმან შეგვაგულიანა ყველანი.

– მერე და, მართლა რომ ჩამოსულიყავით, როგორ გაუძლებდით დამსჯელი რაზმის ზარბაზნებს, უთუოდ დაგხოცავდნენ!

– მე და ჩემმა ღმერთმა, სჯობდა იქ მოეკლა ალიხანოვის დამსჯელი რაზმის ზარბაზანს სამშობლოს დაცვისათვის შეიარაღებული, მებრძოლი ილია, ვიდრე ის მოკვდა წიწამურში, ავაზაკების ტყვიით.

ნინო ნაკაშიძე



სხედან: იროდიონ ევდოშვილი, ბაჩანა რაზიკაშვილი, შიო მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა, ვაჟას შვილი ლევანი.

დგანან: თედო და სანდრო რაზიკაშვილები.

122.

1912 წელს, სოხუმში წასვლის წინ, რედაქციაში შემოვიდა იროდიონ ევდოშვილი... ვაჟა, იროდიონი და ილიკო ბაასობდნენ, საუბარი ვაჟას შემოქმედების გარშემო იყო.

– შენ დიდი პოეტი ხარ, – ეუბნებოდა იროდიონი, – შენი მთა, შენი მდელო და ხევი სიცოცხლის ფეთქვაა. შენი გმირები მძლავრნი, ადამიანისათვის ცხოველმყოფელი სულის ჩამდგმელნი არიან, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ისინი კვდებიან ისე, რომ ცხოვრებაში ვერ იმარჯვებენ.

– როგორ თუ ვერ იმარჯვებენ? მაშ, ტყუილი ყოფილა ჩემი შრომა! ვაი საწყალო ლუხუმო, ჩემო ზეზვავ, ჩემო ქიჩირბეი, კვირიავ, მაშ, ისე მოკვდით, რომ კვალი ვერ დასტოვეთ?..

– თუ გმირი ცხოვრებაში ვერ გაიმარჯვებს, – ამბობდა იროდიონი, – მარტო გმირული თავის გაწირვა და სიკვდილი არ არის საკმაო ცხოვრების გასაუმჯობესებლად და წინ წასაწევად...

ვაჟამ ბოლოს თითქოს ხუმრობით წარმოთქვა:

– ვაი საწყალო ჩემო თავო, ვაი შე საწყალო ვაჟავ, როგორ ვერ მოახერხე იროდიონის მოსაწონი გმირების გამონახვა ცხოვრებაში?

ნინო ნაკაშიძე

123.

ვაჟას „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ წარმოდგენილი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში პრემიაზე. პრემიაზე წარდგენილი იყო აგრეთვე სხვების ნაწარმოებებიც და მათ შორის კიტა აბაშიძის „ეტიუდების“ ორივე ტომი. როდესაც კიტა აბაშიძეს გაუგია, რომ ვაჟას ნაშრომი პრემიაზე იყო წარდგენილი, ვაჟასადმი მისი ღრმა პატივისცემის გამო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში ასეთი შინაარსის განცხადება შეუტანია:

„ამას წინათ წარმოვადგინე დადიანის პრემიაზედ ორი ტომი ჩემის თხზულებისა „ეტიუდები ქართული ლიტერატურის შესახებ“. ახლა გავიგე, რომ პრემიაზედ წარუდგენია თავისი თხზულება „ეთნოგრაფიული ესკიზები“ ჩვენს სახელოვან და საყვარელ მგოსანს ბ. ვაჟა-ფშაველას. მე სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია ბ. ვაჟა-ფშაველას თხზულებას მეტოქეობა გაუწიო და ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს ნაწერებს (ზემოხსენებულ „ეტიუდებს“), რომელიც წარუდგინე გამგეობას, ნუღარ განიხილავს და უკან დამიბრუნოს“.

მიუხედავად ამისა, ვაჟას ნაშრომს, ისე როგორც ბევრ სხვისას, პრემია არ მიენიჭა და გამგეობასაც მის შესახებ არავითარი დადგენილება არ გამოუტანია.

ექვთიმე თაყაიშვილი

124.

ვაჟა ერთ საღამოს რედაქციიდან განაწყენებული დაბრუნდა.

– დიდი ილიასაგან ნაკურთხი ჩანგი ვიღაც ვაჭრებმა უნდა დამიწუნონ? ესღა მაკლდა... ეგენი კიდევ მოიკითხავენ ვაჟას!

– იქნებ ენის გამო დაგიბრუნეს, ზოგიერთს შენი ენა არ ესმის.

– ჩემი ენა არ ესმით?! ვაი, ჩვენს ყოფას... ბარელნო, ეს რა დაგმართნიათ! ეს როგორ მოხდა, რომ ნამდვილი ქართული ვეღარ გაგიგიათ?..

– ვინ იცის, ნამდვილი ქართული სადაა?

– როგორ თუ სადაა?.. ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში შეიბუდებსო!.. ენას რაღა დაემართა! თქვენ იქნებ ქალაქური ალთაი-ბალთაი ქართული გგონიათ!..

– მაინც გასაგები უნდა იყოს!..

– მერე ხალხი ხომ თავის ენით უნდა ავალაპარაკო! – ყოველმხრივ გზას მიჭრიდა.

იოსებ იმედაშვილი

125.

„ივერიის“ პერიოდიდან მოკიდებული 1910 წლამდე ვაჟას შემოქმედებას თითქოს საკმაოდ არ აფასებდნენ. ცნობილია ანეკდოტური ხასიათის პროტესტები, ქუთაისიდან რომ უგზავნიდნენ ილიას (ვამბობ ზოგიერთ ხელისმომწერზე): ვაჟა-ფშაველას ბეჭდვას თუ არ უკლებ, „ივერიას“ აღარ გამოვიწერთო.

სიკო ფაშალიშვილი

126.

ჩემთვის უცნობმა კაცმა შემოაღო კარი. ტოტებ-დაშვებული თეთრი ყაბალახი მოიხსნა... და შემოი-ლაპარაკა:

– ძაან ბარდნის, ვაჟებო! – ყველანი წამოდგნენ.

– ოჰო, აჰ! ვაჟას სალამი, ვაჟას ვახლავართ!

– მთის სალამი მომირთმევია, ესეც საახალწლო ძღვენი! – ვაჟამ უბიდან ამოიღო ძველი დავთრი-დან ამონახევ, გაყვითლებულ ქაღალდზე ნაწერი ლექსები და შიო დავითაშვილს წინ დაუწყო.

...მიხამ (ცხაკაიამ) ჩვენკენ გამოინაპირა ვაჟა...

ვაჟა უცებ გასხლტა და დავითაშვილს კალამს უტა-ცა ხელი:

– ციც, შიო!

შიომ საბოდიშო ღიმილი შემოაგება:

– ვაჟა, საწყენად ნუ კი მიიღებ და ვიფიქრე, იქნებ ასე სჯობდეს-მეთქი.

– შიო, ჩემს დაწერილს გასწორება არა სჭირდება, რაც დავწერე, დავწერე, ბასტა! არ მოგწონთ, ნუ დაბეჭდავთ, გასწორება კი არა-მეთქი!

შიომ ღიმილითვე წამოიწყო თავის მართლება, მა-გრამ ვაჟამ სიტყვა მოუჭრა.

127.

1951 წელს, როცა აუგი ითქვა ვაჟას პოეზიის ენის შესახებ, – რამდენიმე ვრცელი წერილიც დაიბეჭდა მაშინ ვაჟა-ფშაველას ენაზე, – ვიყავი ნინო ნაკაშიძესთან და ლაპარაკი ჩამოვუგდე სწორედ ვაჟა-ფშაველას პოეზიის ენაზე (ვაჟა-ფშაველა ხომ ნინო ნაკაშიძისა და ილია ნაკაშიძის მეგობარი იყო და „ნაკადულში" თანამშრომლობდა).

და აი, როცა ნინო ნაკაშიძეს ვკითხე – თქვენს რედაქციაში ვინ უსწორებდა ვაჟა-ფშაველას ლექსების ენას-მეთქი... ნინო ნაკაშიძემ გურულად გაიოცა, ხელი ლოყაზე მიიდო და თქვა: „ბეჩა! რავა, ვაჟა-ფშაველას ენის გასწორებას ვინ გუუბედავდა, ან რა ჰქონდა გასასწორებელიო".

სოლომონ ხუციშვილი

128.

ვაჟას ენა ცალკე კურსად უნდა იკითხებოდეს, ქართული მეტყველების კულტურის ინსტიტუტი რომ არსებობდეს. რუსთველის, საბა ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის შემდეგ, ვაჟას ყველა სხვა ქართველ მწერალზე უფრო მახვილი ენობრივი ალღო აქვს... ვაჟას პროზის ენა მისი შინაგანი დიდი ენობრივი კულტურისა და ინტუიციის მაჩვენებელია. მას გააზრებული აქვს ყოველი ნაწილაკი, სიტყვა, ფრაზა. მის ნაწერებში არც ერთი ბგერა არაა შემთხვევითი, იგი შემთხვევით არ სარგებლობს არც ერთი სიტყვით... იგი ენაშიც არ არის კონკრეტულად ფშაური კილოს განმამეორებელი, აქაც შემოქმედია...

ამ პოეტს თუნდაც მხოლოდ პოემა „გველის მჭამელი“ რომ დაეწერა და მეტი არაფერი, მაინც პირველხარისხოვან პოეტთა შორის მოექცეოდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ნიკო მარი

129.

ერთხელ სუფრაზე შანშიაშვილმა ვაჟას მოაგონა ის ამბავი, როცა მწერალმა მელიტონ გობეჩიამ „სახალხო ფურცელში“ დასაბეჭდად მოტანილი ლექსი დაუწუნა და არ დაუბეჭდა – „რითმები არ გივარგაო“, ვაჟას ამ ამბის გახსენება სიცილადაც არ ეყო.

მეორე თუ მესამე დღეს შანშიაშვილმა ვაჟას წაუკითხა გამართული აკროსტიხი, სადაც გამოდიოდა: „გობეჩია-კამეჩია“. თურმე ეს ლექსი გობეჩიას ძალიან მოსწონებოდა და სტამბაშიაც გაუგზავნია „სახალხო ფურცელში“ დასაბეჭდად. მაგრამ ვაჟამ არ ურჩია ასეთი რედაქციით ლექსის გაშვება. შანშიაშვილმა შეასრულა და ლექსი იმ სახით აღარ დაბეჭდილა, შეცვალა.

შიო მღვიმელი

130.

თუ ვინმე ლექსს გაასინჯებდა, ბევრ ლაპარაკს კი არ დაუწყებდა: ავტორს ღიმილით მისივე ლექსის ამა თუ იმ ადგილის შეუსაბამობაზე, აღწერილობის უხეირობაზე მიუთითებდა ისეთი კილოთი, რომ ავტორი ყურებამდე წითლდებოდა: რატომ ვერ მოვიფიქრე, რა სისულელე ჩამიწერიაო.

იოსებ იმედაშვილი

131.

ფშაველს რომ სწავლა ჰქონდეს, ვინ იცი, რამდენი შექსპირი გვეყოლებოდაო, – იტყოდა ხოლმე ვაჟა.

მიხა მთიბელაშვილი

132.

– მთელი ჩემი ცხოვრების პარადოქსია: როცა ვხნავ – პოეზიაზე ვფიქრობ, როცა ლექსებსა ვწერ – პრაქტიკულ საქმეებზე ვსაზრიანობ. ხან ერთი მიშლის ხელს, ხან – მეორე!

ეს აზრი ხშირად გამოუთქვამს ვაჟა-ფშაველას, როცა იგი საკუთარ შემოქმედებასა და ცხოვრებაზე მსჯელობდა.

სიკო ფაშალიშვილი

133.

ერთხელ ვაჟა-ფშაველას შევეკითხე: – პოეტის წერითი შემოქმედების პროცესი როგორ ხდებაო-მეთქი. ამაზე ვაჟა ჯერ ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ მიპასუხა:

– სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე როდესაც ვწერ, სურათები მომდის თავში და მე მხოლოდ ვცდილობ, რომ ეს სურათები კარგად გამოვიყვანო. შემდეგ როცა დავწერ და წავიკითხავ, მაშინ მეც მივხვდები ხოლმე, რა აზრიც არის შიგ.

მაშინ მომაგონდა ბელინსკის აზრი, რომ «поэт мыслит образами»*.

ივანე გომელაური

---

* პოეტი აზროვნებს მხატვრული სახეებით.

134.

დღიურის ზრუნვით მოქანცული, ნადიმისა და საუზმის შემდეგ, საძილედ რომ მივწვებოდით, ვაჟა თავქვეშ ამოდებული ყაბალახიდან ლესინგის „ლაოკოონს“ ამოიღებდა ხოლმე და ლოგინში მთელი ერთი-ორი საათი კითხულობდა.

– ძლიერ დიდხანს კი მოუნდი მაგ წიგნსა, – ვუთხარ ერთხელ...

– „ლაოკოონის“ კითხვას რა დაჰლევს, ბარელო, – მომიგო დინჯად და ჩანიშნული ადგილი გადაშალა, – ხელოვნების ჭვრეტით სული დაიღლებაო?.. რამდენსაც მეტს ნაიკითხავ, იმდენს მეტს შეიცნობ...

სიტყვამ მოიტანა და ლაპარაკი სილამაზისა და მშვენიერების რაობაზე ჩამოვარდა.

– რაც მოგწონს და აგამაღლებს, სულს დაგიტკბობს და გულს აღგიფრთოვანებს, თვალს სიამით მოგიხიბლავს და ნეტარ კმაყოფილებას გაგრძნობინებს, სილამაზე და მშვენიერებაც ისაა, – დასძინა ვაჟამ.

– რაში გამოიხატება ერთიც და მეორეც? – შევეკითხე.

– ყველაფერში, რაც კი ლამაზად და მშვენიერად არის გაკეთებული, ანუ შექმნილი...

– ბუნებითი სილამაზე და მშვენიერება სჯობია თუ ხელოვნებითი?

– ორივ კარგია და ის უკეთესი, რომელიც ყოველმხრივ სრულქმნილია, მაგრამ მე ბუნებითი სილამაზე და მშვენიერება მირჩევნავ...

– ტიტველა ქალის დანახვა უფრო გხიბლავს თუ ჩაცმულისა?

– ტიტველა ქალს რა დამანახვებს, არა სჯობია, ალქაჯი დამანახვო?

– მაშ, ხელოვნება მაღლა მდგარა ბუნებაზე...

– არა, ვაჟო, არა... მე ტიტველა ქალზე გითხარი.

– ძველი მოქანდაკე-ხელოვანი თუკი ტიტველ სხეულთ გვიჩვენებდნენ?

– კლასიკურ სილამაზეს... დიაღაც. კლასიკური სხეული. ბუნებასთან ახლო იდგა, თვით ბუნება იყო და იმიტომ მარად მომხიბლავი... ახლა კი დავმახინჯდით... დამახინჯდა სხეული, დამახინჯდა სულიც... და პირიქით.

– მაშ, ხელოვნება მაღლა მდგარა.

– არა-მეთქი, ვაჟო, არა. ხელოვნებამ დაცემული სული უნდა აამაღლოს, სულის ამაღლებამ სხეულსაც თავისი პირვანდელი სილამაზე და მშვენიერება უნდა დაუბრუნოს. ეს საგანი რომ გიზიდავს, ესეც სილამაზეა... – მიპასუხა და წიგნის ფურცელი შეარხია.

იოსებ იმედაშვილი

135.

იმ დროს დიდ მოდაში იყო ნიცშე თავისი „ზეკაცით“ და ვაჟა ეუბნებოდა შანშიაშვილს: „ხერხემალგამოფიტული ევროპელი ფილოსოფოსი, შენი ნიცშე, ჩვეულებრივი ნაცარქექიაა. აზვიადებს ყველაფერს, რაც თვითონ არ მოეპოვებაო“.

შიო მღვიმელი

136.

ვაჟა ძლიერ განათლებული პოეტი იყო, იცნობდა ყველა გამოჩენილ კლასიკოსს. მან თარგმნა შილერი, ედგარ პო და სხვები. იმ დროს, როდესაც ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი გატაცებული იყო „ნიცშეანელობით“, კერძო კამათში ვაჟა ისე აკრიტიკებდა ნიცშეს, რომ მისგან ნატამალსაც აღარ სტოვებდა, ამბობდა: „ღონე გამოლეულს, დაწრეტილს, უსუსურ მეწვრილმანე ვაჭარს ენატრება „ზეკაცი“ ზარატუსტრა, ხოლო ჩვენში ცხვირმოუხოცელი მოხევე და მთიელი იგივე ზარატუსტრა არის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი მოხევე და მთიელი უფრო რაინდია, ხოლო ნიცშეს ზარატუსტრა – ვერაგი, სისხლისმსმელი, სუსტი მქელავია, ე. ი. არ არის ვაჟკაცი ადამიანიო“.

სანდრო შანშიაშვილი

137.

რეაქციის წლების ლიტერატურაში დაცემულობის ტონი ძლიერდებოდა. ახალგაზრდა მოლექსეთა უმრავლესობა წუწუნებდა და, როგორც ვაჟა ამბობდა, „ცრემლებით სველ" ლექსებსა წერდა... ასეთ პესიმისტურ განწყობილებას ვაჟა გულისტკივილამდე განიცდიდა, სიტყვა მოიტანდა, თუ საქმე, მუდამ იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ სასოწარკვეთილება, უიმედობა არ მართებს ჩვენს მწერლობას, ნამეტნავად კი ახალგაზრდობას, რომ ეს უილაჯობისა და ჩვენი დიდი წარსულის უცოდინრობის შედეგია.

– განა უფრო შავბნელი ტანჯვა და ნგრევა არ განუცდია ჩვენს ქვეყანას?.. მაგრამ იგი ამდგარა და კვლავ წელში გამართულაო, – ჩაგვჩიჩინებდა ახალგაზრდებს. ბევრჯერ დავუტუქსივარ სევდიანი ლექსების დაწერისათვის. იგი ჰკიცხავდა ყველას, ვინც ასე უიმედოდ იყო განწყობილი და განსაკუთრებით აფასებდა იმედითა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ლექსების ახალგაზრდა ავტორებს.

სიკო ფაშალიშვილი

138.

ერთხელ, საღამოს, როცა მე და ვაჟა ვბრუნდებოდით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან (მე იქ ვმსახურობდი), ვორონცოვის ძეგლის მახლობლად მდებარე ღვინის სარდაფში დაგვპატიჟა სცენის მოყვარე მსახიობმა გიორგი ხუციშვილმა.

როცა ვაჟამ ღვინოს სუნი და გემო გაუსინჯა, იკითხა: – ვისია ღვინოო? იქვე დახლთან მდგომმა ორმა ახალგაზრდამ უპასუხა: – ჩვენიო.

ყოჩაღ, ქოსებოო! – უთხრა ვაჟამ და გადაჰკრა მოწონებული ღვინოც.

სარდაფის პატრონები მოსე და გიორგი ხელაშვილები მართლაც სრულებით უწვერულვაშო ბიჭები იყვნენ. ის იყო, ახლად დაეწყოთ ღვინით ვაჭრობა.

ვაჟას კითხვისა და პასუხის შემდეგ ხელაშვილებს დაერქვათ ქოსები. ხომ იცით, ხალხს რაც ერთხელ მოსაწონი ყურში ჩაეწვეთება, ის აღარ იშლება, და მიუხედავად იმისა, რომ წვერ-ულვაშისა და ოჯახობის პატრონები გახდნენ, დღესაც მაინც ზემოხსენებული ზედმეტი სახელით იწოდებიან ხელაშვილები და ყველა მადლიერია მათი საქონლით.

შიო მღვიმელი

139.

რატომღაც ევდოშვილს ქვრივიშვილს ეძახდა ვაჟა. ქოსების სარდაფში პურსა ვჭამდით. როცა წამოვიშალენით, ევდოშვილი ეცა ვაჟას საჭიდაოდ. ქეიფის შემდეგ იროდიონს უყვარდა ხოლმე ძარღვების ათამაშება, ძალ-ღონის გამოჩენა.

– ქვრივიშვილო, ე მანდ თავი დამანებე, თორემ შავ მელას დაიჭერო! როგორც ხვლიკს, ისე გაგასრიალებო, – უთხრა ვაჟამ და მოირიდა, მაგრამ იროდიონი მაინც არ მოეშვა და ეცა კიდევ.

ევდოშვილისა და ვაჟას ღონის შედარებაც კი არ შეიძლებოდა, ისეთი მძლავრი იყო ვაჟა. რაკი აღარ მოეშვა ირონდიონი, ვაჟამაც უკისრულა და იმ გრძელ სარდაფში შორს პირქვე გაართხო.

ევდოშვილი კვლავ ეცა, მაგრამ ვაჟამ აღარ გაიმეტა.

ირონდიონს ძალაუნებურად მოუხდა, მეორედ რომ შეეჭიდა, ჩოხის კალთა ჩამოახია.

ამ ღამეს ერთად წავედით ჩემსას დასაძინებლად. მე და ირონდიონს ცოლ-შვილი სოფელში გვყავდა. დასაძინებლად რომ გაიხადეს, ევდოშვილს აღარ მოუთმინა გულმა და ეცა კიდევ ვაჟას.

ჩვენს ქვემო სართულში ნიკა გოცირიძე ცხოვრობდა თავის მამით. იმ ღამეს ნიკას ისე მაგრა სძინებოდა, არაფერი გაუგია მიწის ძვრისა (იმ დროს რკინიგზის დეპოში მსახურობდა). მისი მამა სიმონი კი გამოვარდნილიყო გარეთ შეშინებული და სულ იქით-აქეთ იყურებოდა თურმე – სახლი ხომ არ დაინგრაო. ისე მაგრა დაენარცხებინა ევდოშვილი ვაჟას, რომ სახლს სულ ზანზარი დაეწყო.

მეორე დღეს ვაჟამ ახალი ჩოხა იყიდა და ევდოშვილს ასე უთხრა: „შარი ხეირად მექცა, თუ არ შენ, მე ჩოხას ვერ გამოვიცვლიდი, ვერ გავიახლებდიო. ალბათ შენც მაღარიჩის იმედი გქონდა და მიტომაც მეტანებოდი ქორიკითო".

შიო მღვიმელი

140.

ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა ეროვნულ საკითხებზე. იყვნენ ჩვენ შორის ნიღილისტები, რომლებიც საქართველოს ყოფნა-არყოფნას და მის მომავალს უიმედო თვალით შესცქეროდნენ. არ სჯეროდათ, თუ ოდესმე ქართველი ხალხი ფეხზე წამოდგებოდა. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შიო არაგვისპირელიც ამ ნიღილისტებს მიემხრო და თქვა, რომ დგება საქართველოს დასასრულიო.

ვაჟამ მაგიდას მუშტი დაჰკრა, მის წინ ლამპა ჩაქრა, რამდენიმე თეფში გატყდა. ვაჟა მაინც განაგრძობდა ათრთოლებული ხმით ლაპარაკს: – ვაი, თქვენი იმედის პატრონს. თევზი თავით აყროლდებაო, თქვენ არა თუ აყროლებულხართ, თქვენ უკვე ლეშები გახრწნილხართ, – თქვა და წამოდგა. მე და „ნაპოლეონი“* ვაჟას გამოვყევით. ვაჟას ჩაეწყო ჩოხის ჯიბეში ხელები და მტკვრის ხიდზე მარტოდ წეროსავით წინ მიდიოდა.

ისე გაბრაზებული იყო, რომ ჩვენც ხმას აღარ გვცემდა.

სანდრო შანშიაშვილი

---

* დავით პავლიაშვილის მეტსახელი.

141.

ვაჟას ერთი ანეკდოტი ძალიან უყვარდა, ხშირად ამბობდა ხოლმე:

„ერთხელ ორი კაცი შევიდა მაღაზიაში. ერთს ჩოხის ყიდვა უნდოდა. აირჩია ჩოხა და ფასი ჰკითხა. ვაჭარმა თოთხმეტი მანეთი დაუფასა. მყიდველმა მაშინვე ამოიღო თოთხმეტი მანეთი და დაუთვალა ვაჭარს. მეორე კაცმა უსაყვედურა: რა გეჩქარებოდა, შე კაცო, ფულის მიცემა. შევაჭრებოდი, იქნებ, ფასს დაგიკლებდაო. აბა, რამდენს დამიკლებდა. ერთ-ორ მანეთს. მეტს ხომ არ დამიკლებდა, ახლა კი გულზე გასკდება, რატომ მეტი არ დავუფასეო“. ეტყობოდა ანეკდოტი თვითონაც მოსწონდა და ყოველთვის გულიანად იცინოდა.

ნინო ნაკაშიძე



ვაჟა-ფშაველა მეუღლესთან, თამართან ერთად

142.

ვაჟა ხუმრობის გუნებაზედაც დადგებოდა ხოლმე და მოგვიყვებოდა სხვადასხვა ამბებს.

– ხევსურეთში მოგზაურობისას, – თქვა ვაჟამ, – პეტრე უმიკაშვილი საღამოთი მიადგა ერთი ხევსურის ოჯახს და თავის შეფარება სთხოვა. ფშავ-ხევსურეთში პეტრე დადიოდა ხალხური ანდაზებისა და თქმულებების შესაკრებად. რომ შეხედეს უწვერულვაშო კაცს, გაუოცდათ და უთხრეს: – შენ კაცო, ადამიანი კი არა, გაპარსული ეშმაკი ხარო.

პეტრე უმიკაშვილი იყო ქართველი კათოლიკე, თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელი. კაცი დინჯი, დარბაისელი, ლიტერატორი და ძალიან ნელა, ტკეპნით მოლაპარაკე. ერთთავად წვერულვაშგაპარასული დადიოდა. ეს იყო მიზეზი, რომ რაფიელ ერისთავმა იოხუნჯა ერთ სუფრაზე ორთაჭალაში, სადაც ის თამადად იყო და უთხრეს, პეტრე ღვინოს არა სვამსო, „ულვაში აუწიეთ და ისე დაალევინეთო“.

– დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ შეიყვანეს პეტრე სახლში, მისვეს კუნჭულში და ასე თეთრად გაათენებინეს. თავადაც ისე გაათენეს, რომ თვალი არ მოუხუჭიათო, – თქვა ვაჟამ.

შიო მღვიმელი

143.

ვაჟა, შიო მღვიმელი, ივანე ბუქურაული, იროდიონ ევდოშვილი, სანდრო რაზიკაშვილი, ჩემი ძმა, გიგო კასრაძე, – ესენი ყველა ხასიათით ძალიან შეწყობილები იყვნენ ერთმანეთთან...

ერთ დღეს ყველანი წასულან საქეიფოდ მირიანაშვილის სარდაფში. ამ დროს მათ შეხვედრიათ გზაში იაკობ გოგებაშვილი.

გოგებაშვილი მაშინ ხანში შესული იყო და ღვინოს იმდენად არა სვამდა. უყვარდა ტკბილეული, რძე, მაწონი და სხვა...

გოგებაშვილს დაუპატიჟნია ვაჟა და მისი ამხანაგები. ისინი ყველანი ჩაუყვანია სალაყაიას „საკანდიტროში". მოუტანინებია მათთვის რძე და მაწონი. ვაჟას და მის ამხანაგებს სიცილი წასკდომიათ. ხალხი ღვინით და მწვადით ქეიფს აპირებდნენ, სამაგიეროდ მათ რძე და მაწონი მიართვეს.

იროდიონ ევდოშვილი ძალიან მოხერხებული კაცი იყო. იროდიონს მოუფიქრებია თავის ხსნის საშუალება. აუტკიებია მუცელი, მოურთავს ვაი-ვაგლახი და გამოსულა გარეთ. იროდიონის მოსაკითხავად სხვანიც გამოსულან და ამგვარად განთავისუფლებულან საკონდიტროდან.

დავით კასრაძე

144.

ერთხელ ვაჟა საღამო ხანს მეწვია, ღორი ჩამოვრეკეო. შევატყვე, უჭმელი იყო. წიგნის სავაჭრო მივკეტე, ადამიას საჩაიეში წავიყვანე და ჩაი ფუნთუშებით მოვითხოვე.

– სარეცხს ხომ არ მარეცხინებ! – მითხრა.

ვიფიქრე, ჩაი არ ეამება-მეთქი და მაწონი მოვითხოვე.

– ეს რაღაა, ჩემს დღეში არ მინახავს! – მითხრა ღიმილით.

ვითომ დაცინვა ვერ შევნიშნე და მსახურს გავძახე: – ძმობილო, ჩქარა ერბო-კვერცხი.

– ალბათ შენი ჯიბის საქმე ჭანდრაკულად არის, რომ მთიდან ჩამოსული ფშაველისათვის ერთი ხელადა ღვინო ვეღარ მოგიხერხებია...

– უკაცრავად, ჩემო ვაჟა, ეგეც იქნება, – მივუგე და მსახურს მივაძახე, – მაწონი საჭირო აღარ არის. – და მეორე მაგიდაზე გადავდგი.

– მოიცა, – წამომწვდა ვაჟა ხელში, მაწონი ჩაიში ჩაასხა, კოვზი მოურია და გადაჰკრა. – ამოღებული ხმალი უომრად აღარ უნდა ჩაეგოს ქარქაშიო... ვინა გგონივარ, რომ ნადუღი წყლით გავიჭყიპო... ქართველ კაცს თუ ღვინო არ დაალევინე, როგორ ეტყვი, პური გაჭამეო.

იოსებ იმედაშვილი

145.

ვაჟა კარგად თამაშობდა ახალგაზრდობისას ბილიარდსაც, როგორც ტყვიას არ ააცდენდა ნიშანს, ისე ბილიარდის ძვლის ბურთს – დანიშნულ ორმოს.

ერთხელ ისა და მისი მეგობარი, დიმიტრი მღებრიშვილი, შევიდნენ საბილიარდოში სათამაშოდ. ჯერ ბუფეტზე უნდა გაეარათ და მერე ისე უნდა შესულიყვნენ საბილიარდოში. ვაჟას ეჭირა გათლილი კოხტა და ხელმარჯვე ჯოხი, რომელიც დახლიდარს მიაბარა შესვლისას.

თამაში ვაჟას სასარგებლოდ დამთავრდა. წამგებმა და მომგებმა ერთად ივახშმეს. გამოსვლისას ვაჟამ ჯოხი მოითხოვა, მაგრამ, რაკი უბრალოდ ეცვა, დახლიდარმა გაუტრიზავა*: „რისი ჯოხი, რა ჯოხი, ვის დაჰკარგვიხარო!“

როგორც ჩანდა, დახლიდარს ჯოხი მოსწონებოდა. რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ, მოთმინებიდან გამოსულმა ვაჟამ რომ ჩაავლო ხელი საყელოში, ისე ღონივრად გადმოიქნია შიგნით მდგომი დახლიდარი, რომ მთელი ბუფეტი თან წამოაღებინა და ზედ იატაკზე გაშალა.

ჯოხი მალე გამოჩნდა და ვაჟამ „კნიაზის“ სახელიც კი დაიმსახურა, მაგრამ არ შეიფერა.

შიო მღვიმელი

---

* არაფრად ჩააგდო.

146.

ლიტერატურულ საღამოებზე ვაჟას მიწვევა-მიპატიჟება ქართველმა ინტელიგენციამ წესად შემოიღო. სად არ იწვევდნენ ვაჟას, სად არ მოელოდნენ მის ნახვას და მის ლექსთა მოსმენას?

ასეთი საღამო ჭიათურაში გაუმართავს მოწინავე საზოგადოებას. შავი ქვის მრეწველობის ხელმძღვანელები, მუშა-მოსამსახურენი, მასწავლებლობა და სტუდენტობა, ხშირად სხვა ქალაქებიდან და დაბებიდან ჩამოსული სტუმრებიც ავსებდნენ თეატრებსა და სახალხო საკრებულოებს.

ვინაიდან საღამოს შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებისათვის იყო განკუთვნილი, ბილეთები შედარებით მაღალ ფასებში გაიყიდა... ერთი ბილეთი მრეწველ ბრეგვაძის მოიჯარადეს, მინა მიხეილის ძე ნიჟარაძესაც შეაძენინეს; უთხრეს: – საღამოს პოეტი ვაჟა-ფშაველა დაესწრებაო. პარტერში მჯდომი შეზარხოშებული ჩოხოსანი, ილიას მსახურის მსგავსად, რაღაც არაჩვეულებრივ სანახაობას მოელოდა მისთვის უცნობი ვაჟას გამოჩენით; როდესაც უთხრეს, ეს არის ვაჟაო, გაჯავრებული მინა გაიძახოდა: – მომატყუეს, ამდენი ფული გადამახდევინეს, ერთი ვიღაც ძველ, გახუნებულ ჩოხაში გამოწყობილი ყაძახი გამოიყვანეს, რომელმაც თავადაზნაურობა გაგვლანძღა და გაგვათრიაო.

განაწყენებული ნიჟარაძე ძლივსძლივობით დაამშვიდა კიტა აბაშიძემ; მას არ ჰქონდა, ალბათ, წაკითხული ვაჟას სიტყვები: „თუ კაცი თვითონ კაცია, რა უშავს ჩოხას ძველასა".

ევსევი მიქელაძე

147.

ვაჟას ისე უბრალოდ ეჭირა ყველგან თავი, რომ უცნობი ვერც კი წარმოიდგენდა მისი პირველი ნახვით, რომ იგი უმზერდა სამშობლოს სიამაყეს. ერთხელ ჩემს სახლში დეკანოზმა თალაკვაძემ თავისებურად მჭევრმეტყველური შესხმა უთხრა ვაჟას. ვაჟამ მადლობა უთხრა და თანაც დაატანა: „მე იმისათვის კი არ ვწერ, რომ მაქონ და მადიდონ, არამედ იმისათვის, რომ ჩემს სულსა და გულს ვასიამოვნო ამითაო“.

მელანია (ნიკოლოზ ნათიძე)

148.

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების ხანაში პოეტმა ირ. ევდოშვილმა და ირ. ოქრუაშვილმა ტფილისის სადგურთან, მალაკნის ქუჩის მგონი 50-ში, ღვინის სარდაფი გახსნეს, რომლის აბრაზედაც ი. ხოსიტაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი ი. ევდოშვილი ეწერა. მე იმ დროს არ მომწონდა და არც ახლა მომწონს სამიკიტნო აბრაზე ლიტერატურული ფსევდონიმის წარწერა, თუმცა იმხანად ამას ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: ვითომ თამადანი ან მოქეიფენი რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ.

სწორედ ამ ხანებში, თითქო ევდოშვილისა და ოქრუაშვილის სამიკიტნოს ჯიბრზე, მათს მახლობლად ვიღაც მიკიტანმა თავის სამიკიტნოს აბრაზე „ვაჟა-ფშაველა" დაწერა. არც ეს მესიამოვნა და ვაჟას ვუსაყვედურე: – ამის ნებას რათ აძლევ, ხალხი შენის ლექსებით უნდა სთვრებოდეს და არა შენი სახელის სამიკიტნოთი-მეთქი. ვაჟა შეიმრიზა: – უჩემნებართვოდ ნაუწერიათ ეგ სახელიო, – მაგრამ მერე დაუმატა: – არა უშავს, ვაჟა-ფშაველას სახელით ჯერ ღვინოს დაეწაფებიან, შემდეგ პოეზიასაც მოსძებნიანო.

იოსებ იმედაშვილი

149.

წერილი მიხეილ ლობჟანიძეს

ძმაო მიშო!..

აკაკის დაკრძალვა დიდებული იყოო – მწერ. დარწმუნებული ვარ, ფიცი არაა საჭირო. ჩვენის მოღვაწეების დამარხვაში ქართველები დიდ ნიჭსა და უნარს ვიჩენთ, ხოლო სიცოცხლის დროს იმათ დაფასების უნარისა რა მოგახსენო; ჩემთვის, მაგალითად, დასაკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ, რაც დაინიშნა და შემოიფარგლა, ხოლო ამ ოცი წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ იცის. ასეა, რა გაეწყობა, ყველაფერს თავისი დრო და გამოცდილება უშველის და გაასწორებს მრუდად ნაჩორგნს საქმეს...

შენი პატივისმცემელი ვაჟა

1915 წ., 15. III.

150.

1915 წელს ვაჟა თბილისში ავადმყოფი ჩამოვიდა, მე და ჩემმა ამხანაგებმა კატეგორიულად დავაყენეთ საკითხი, რათა მისთვის გადაგვეხადა იუბილე. როგორც იყო, დიდის ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ, გადაწყდა კიდეც იუბილეს საკითხი. ამის გამო მე კარიკატურა დავხატე გაზეთ „საქართველოში“, რომელიც გამოდიოდა ჩემი რედაქტორობით 1915-16-17 წლებში.

ამ კარიკატურაში გამოხატულია უზარმაზარი ვაჟა-ფშაველა. ჩვენი მესვეურნი ფეხის კოჭებამდე ძლივს წვდებიან ამ ბუმბერაზს. ქვეშ იყო წარწერა: „ძლივს შენიშნეს ეს პატარა ადამიანი“.

სანდრო შანშიაშვილი



151.

ავადმყოფი ვაჟა ჯერ თავის ძმა სანდროსთან იწვა, შემდეგ წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში მოათავსეს ქართული გიმნაზიის (ამჟამად უნივერსიტეტის) შენობაში, რომელიც ფრონტზე დაჭრილი ქართველი მეომრებისათვის იყო განკუთვნილი.

ოთახი, რომელშიც ვაჟა იწვა, ცივი და რაღაც გულშემზარავი იყო. მართალია, ზაფხულის საშინელი სიცხეები აქ ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ ვაჟას ბუნება ვერ ეგუებოდა ოთხკედელშუა ყოფნას და ყველას ეხვეწებოდა: – წამიყვანეთ ჩარგალში, მე თუ მორჩენა მიწერია, მხოლოდ იქ მოვრჩებიო.

თითქმის ყოველდღე დავდიოდი ვაჟასთან. ხან წყაროს წყალი მიმქონდა, რომელიც იქვე, გიმნაზიის წინ, დაბლა ხევში გამოდიოდა, ხან ხილი მიმქონდა, სადილი, მინდვრის ყვავილები და ხანაც უბრალო მწვანე ბალახი, იქვე ეზოში დაგლეჯილი, რომელსაც ხარბად დაყნოსავდა და შემდეგ გულზე დაიყრიდა ხოლმე.

ვეფხო აკობაშვილი

152.

ერთხელ შევედი და თვალდახუჭული რომ დავინახე, სძინავ-მეთქი, ვთქვი და გამობრუნება დავაპირე, მაგრამ ვაჟამ თვალი გაახილა. – ხომ არაფერი გინდათ? – შევეკითხე. უარის ნიშნად თავი გააქნია: – ფიქრმა გამიტაცაო, მთელი დღე ოცნებით ჩემს სოფელში ვარ, ბალღები, სახლ-კარი მომაგონდაო, მწვანე ბალახის სუნი მომენატრაო.

ნინო ციციშვილი

153.

ერთ დღეს ვაჟა ძლიერ დაღონებული იწვა თვალდახუჭული, გადმომხედა, დამინახა, მითხრა: ნინო, მე ძალიან შეგეჩვიეო, მინდა შენთან სურათი გადავიღოო – სახსოვრად და მოსაგონებლადაო.

მართლაც, იოსებ იმედაშვილმა მოიყვანა ცნობილი ფოტოგრაფი ჟვანია, მას შემოჰყვა სამი მოწყალების და.

ვაჟას ჩემთვის ადრევე ჰქონდა ნათქვამი მასთან სურათის გადაღების შესახებ და როდესაც ჩემთან დაინახა სხვებიც, არ ესიამოვნა, მაგრამ არავის აწყენინა, ოღონდ მე მთხოვა, რომ მის ახლოს, სასთუმალთან დავმჯდარიყავი.

მაშინ გადაღებული სურათი დღემდე მაქვს შენახული.

ნინო ციციშვილი



154.

ისე გამოესალმა ვაჟა სიცოცხლეს, რომ არავის არაფერი გაუგია. ძმა, სანდრო რაზიკაშვილი, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფში მსახურობდა, ქართული გიმნაზიიდან ორ ნაბიჯზე იდგა. იმასაც კი ვერ შეატყობინეს ძმის ვერც შეწუხება და ვერც სიკვდილის პირზე მიდგომა.

ერთი თუ ორი საათით ადრე კი სრულ გონებაზე მყოფ ვაჟას ეთქვა: „საწოლი მიაბრუნეთ და პირი მამადავითის მთისაკენ მიყავით, რომ მთას ვუცქიროო".

შემდეგ მოეთხოვა მწვანე ბალახი და ხის ფოთლები, გაეშლევინებინა წინ ძირს და ზედ დაწოლილიყო. ბალახსა და ფოთლებს გარშემო იბურავდა და ყნოსავდა თურმე.

შიო მღვიმელი

155.

დეპეშა მოვიდაო, – ის მითხრეს, – მამა აღარ გყავო... სიკვდილის დროს კიდევ რა ეთქვა, არავინ არ გეეხსენებინა ჩემის მეტი, გულქანი დამრჩა შუა გზასაო, ეგ მიმყვება ბოლმადაო...

წავიდნენ ქალაქში მამაის დასამარხავადა.

მე ვერ წავიდოდი, შიშველ-ტიტველი ვიყავ და ვერ წავიდოდი, არც სახლს დანებდებოდა თავი, არც საქონსა, მე უნდა მიმეხედა.

გულქან რაზიკაშვილი

156.

ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი წერილი[*]

ჩემო ჯალაფნო!

ამას წინად წერილი გამოგიგზავნეთ და არ ვიცი, მოგივიდათ თუ არა. მე დიდი ავადობა და მწუხარება გამოვიარე, ხოლო დღეს-დღეობით კარგადა

[*] ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა 1915 წლის 27 ივლისს.

ვარ, მაგრამ ექიმები წამოსვლის ნებას არ მაძლევენ. ამ წერილს ნიკოს* ვატან და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობსთ. პეტრეს** საქმე გავაკეთე აქ ქალაქში და იმედია დუშეთშიაც გაკეთდებოდა. ასე რომ, ამ ბიჭს ისევ დუშეთში დასტოვებენ.

მე ამ ცხრა-ათ დღეზე გავჩნდები მანდა. თქვენ იცით, მანდაურობას როგორც შეინახავთ და გაუფრთხილდებით. თამარო***, სათიბეებს უფრთხილდით, თვალი უნდა დააკლოთ ჩქარ-ჩქარა, თორო ხომ იცით ეხლანდელი ხალხის ამბავი.

წისქვილი მაშინებდა, იქნება წყალმა წაიღო და ნიკომ მითხრა, ბეკურმა**** გაამაგრაო. აბა, შანაყარი და მოურავი მაგისთანა უნდა! რო მოვალ ერთი დიდი მენდალი მოუტანო წადი-მოდისა.

მარადის თქვენი ერთგული ვაჟა

1915 წ. 11 თიბათვეს.

---

* ნიკო – ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა).

** პეტრე – პეტრე დიდებაშვილი, ვაჟას ცოლისძმა.

*** თამარი – ვაჟა-ფშაველას მეუღლე.

**** ბეკური – ვაჟას ნათლიმამა, ბეკურ ბაჩიაშვილი.

მოკლე ცნობები მოგონებების ავტორთა შესახებ

აკობაშვილი ვეფხო – ვაჟა-ფშაველას მეგობრის, აბრამ აკობაშვილის, შვილი.

ბაჩიაშვილი ბეკური – ვაჟა-ფშაველას ნათლიმამა, მისი მეზობელი და მეგობარი.

ბუკუკიშვილი ხვთისო (ნამდვილი გვარი – ქართველიშვილი) – ვაჟა-ფშაველას მეგობარი, მეცხვარე.

ბუქურაული ივანე (1869-1943) – მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ფოლკლორული მასალის მკვლევარი და პუბლიკატორი.

გომელაური ივანე (1867-1951) – ქართველი მწერალი, დამსახურებული მასწავლებელი.

გორზამაული ივანე – ვაჟა-ფშაველას მეზობელი.

დიდებაშვილი თამარ (1878-1957) – ვაჟა-ფშაველას მეორე მეუღლე.

დიდებაშვილი ქეთო – ვაჟა-ფშაველას ცოლისდა.

ზურაბიშვილი ივანე (1872-1940) – მწერალი, პუბლიცისტი, მემუარისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

თაყაიშვილი ექვთიმე (1863-1953) – ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი.

იმედაშვილი იოსებ (1876-1952) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება" რედაქტორ-გამომცემელი.

კასრაძე დავით (1885-1965) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

კლდიაშვილი დავით (1862-1931) – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

კურდღელაშვილი ნიკო (ნარკანი) – ქართველი მწერალი, მთარგმნელი.

ლაისტი არტურ (1852-1927) – გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ლიტერატურის (მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის") მთარგმნელი გერმანულ ენაზე, საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზატორი ევროპაში.

მანსვეტაშვილი იაკობ (1855-1939) – მწერალი, მემუარისტი, პუბლიცისტი, ქველმოქმედი.

მარი ნიკო (1864-1934) – ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

მგალობლიშვილი სოფრომ (1851-1925) – მწერალი (პროზაიკოსი, მემუარისტი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

მგელაშვილი ტატო – ცხოვრობდა სოფელ მაღაროში. პროფესიით მჭედელი. სწავლობდა ბაჩანას სკოლაში, შეგირდობისას ხვდებოდა ვაჟას.

ნათიძე ნიკოლოზ (1853-1921) – მწერალი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდონიმი „მელანია"), პედაგოგი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე.

ნაკაშიძე (ქალიშვილობის გვარი – ანთაძე) ნინო (1872-1963) – მწერალი, მემუარისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორი.

ნაყეური თევდორე – ფშაველი გლეხი.

რაზიკაშვილი გულქან (1898-1989) – ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი.

რაზიკაშვილი ეთერ – ვაჟა-ფშაველას ძმისშვილი.

რაზიკაშვილი ვახტანგ – ვაჟა-ფშაველას შვილი.

რაზიკაშვილი თამარ – ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი.

რაზიკაშვილი მიხა (მიხეილ) – ვაჟა-ფშაველას დისშვილი.

რაზიკაშვილი სანდრო (ალექსანდრე) – ვაჟა-ფშაველას ძმა.

რაზიკაშვილი ნიკო – ვაჟა-ფშაველას ბიძაშვილის შვილი.

რობაქიძე გრიგოლ (1882-1962) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

ტაბიძე გალაკტიონ (1891-1959) – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, XX საუკუნის ქართული ლირიკული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი.

ფაშალიშვილი სიკო (სვიმონ) (1894-1970) – ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი.

ყუბანეიშვილი სოლომონ (1901-1986) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარი.

შანშიაშვილი სანდრო (1888-1979) – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი.

შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) (1866-1933) – ქართველი საბავშვო პოეტი, ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

წერეთელი აკაკი (1840-1915) – ქართველი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ჭიჭინაძე ზაქარია (1853-1931) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი.

ხუციშვილი სოლომონ – ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი, ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

წიგნში შესული ამგები ამოღებულია შემდეგი პუბლიკაციებიდან და გაგრცემებიდან:

1. **აკობაშვილი ვ.**, მოგონებანი ვაჟაზე, თბილისი, 1965.
2. **გაზ. „საქართველო“**, 1915, 31.
3. **გვიამბობენ ვაჟას თანამედროვენი** გაზ. „კოლმეურნის ხმა“,1961, № 85 (16 ივლისი).
4. **ვაჟა-ფშაველა**, თხზულებანი: ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები, თბილისი, 1979.
5. **ვაჟა-ფშაველა**, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბილისი, 1964.
6. **ვაჟა-ფშაველა**, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964.
7. **ვაჟა-ფშაველა**, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, თბილისი, 1964.
8. **ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ**, თბილისი, 1967.
9. **კაი-ყმა: მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე** (შემდგ.: მ. ბეჟიტაძე, ს. ცაიშვილი), თბილისი, 1986.
10. **კლდიაშვილი დ.**, ჩემი ცხოვრების გზაზე (მოგონებანი), თბილისი, 1961.
11. **მეგრელიძე ი.**, ნიკო მარი ვაჟა-ფშაველას შესახებ, თბილისი, 1961.